საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

სამშაბათი, 3 ივლისი. 2018 წ. №135 (8536), | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ხალხი იხოცება SOS! თოფით კი არა, მონამლული პროდუქტით

②

ადამიანი დასჯილია თავისუფლებით!..

ინტელიგენცია და სტომაქიგენცია

④

ამერიკული დიპლომის მქონე სტაჟიანმა გიჟმა, საქართველოში შემოდგომაზე დავბრუნდებიო!

⑧

ოთოია კაჩიძის ვნებანი

③

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი:

საქართველო ძალიან ახლოსაა ევროპასთან!

„თბილისში არა მარტო პარლამენტის წინ ფრიალებს ევროკავშირის დროშა, ბევრ ქვეყანაში ეს ასე არ არის, ამ ლურჯ დროშას ყვითელი ვარსკვლავებით თბილისში ყველგან შეხვდებით და ეს ჩვენ გვახარებს. ეს არის გარეგნული გამოხატულება იმისა, რასაც ქართველები შინაგანად გრძნობენ. ამიტომაც ჩვენ ჩვენი პოლიტიკა უნდა დავუახლოვოთ ამას, უკეთესი პოლიტიკა ვაწარმოოთ ისეთი ქვეყნების მიმართ, როგორიც საქართველოა, ჩვენ გვჭირდება ევროპული აღმოსავლეთის პოლიტიკა“, — ამის შესახებ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰაიკო მაასმა განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან დავით ზალკალიანთან შეხვედრის დროს მედიისთვის გაკეთებულ განცხადებაში.

მისი განცხადებით, გერმანია მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების კურსს და ამ გზაზე უმნიშვნელოვანესი ეტაპი გახლდათ საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მინიჭება. **„თქვენ საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმების ტემპი აიღეთ და ამ თვალსაზრისით ბრძანდებით რეგიონში წამყვანი ქვეყანა, ამაში ჩვენ მომავალშიც გვინდა, მხარი დაგიჭიროთ“,** — განაცხადა გერმანიის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

„საქართველო ნატოს ერთ-ერთი მჭიდრო პარტნიორია. ავღანეთში საქართველო 900 ჯარისკაცით არის წარმოდგენილი. მინდა, გავიხსენო მაზარ-ი-შარიფში გერმანიის საკონსულოზე თავდასხმის ფაქტი, მაშინ ქართველი ჯარისკაცების ძალისხმევით მოხერხდა ჩვენი თანამშრომლების გადარჩენა და ამისთვის დიდი მადლობა მინდა, გადაგიხადოთ.

ჰაიკო მაასის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველო წარმოდგენილი იქნება ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საპატიო სტუმრის სახით. „ჩვენ ძალიან გვიხარია, რომ 70 შესანიშნავი ქართველი მწერალი იქნება წარმოდგენილი გამოფენაზე, მათი ნაშრომები და ეს წიგნები გვიჩვენებენ, რომ ქართველები ევროპულად აზროვნებენ და ევროპულად გრძნობენ. მართლაც ისინი გვიდასტურებენ, რომ საქართველო ძალიან ახლოს არის ევროპასთან“, — განაცხადა მინისტრმა.

სომხეთი ომისთვის ემზადება

სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ქვეყანას მოუწოდა, მზად იყვნენ ყარაბაღში მოვლენების განვითარების ნებისმიერი სცენარისთვის. ნიკოლ პაშინიანმა ადგილობრივ მედიასთან შეხვედრისას აზერბაიჯან-სომხეთის საზღვარზე არსებული ვითარება შეაფასა. **„ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საზღვარზე სამხედრო ძალის მობილიზებაა. როგორც აზერბაიჯანი აცხადებს, მასშტაბური წვრთნები იგეგმება, ამიტომ ჩვენი შეიარაღებული ძალები მოვლენების განვითარების ნებისმიერი სცენარისთვის მზად უნდა იყვნენ, უკვე გავეცი ასეთი ბრძანება“,** — განაცხადა პრემიერმა.

ჩინოვნიკები უნდა ჩამობრძანდნენ 100 000-იანი მანქანებიდან!

⑥

ქეთი დავლიანიძის ნიჭის გაელვება

⑦

„საერთოდ გვჭირდება თუ არა ე.წ. ყვითელი მარშრუტკები?!.“

თბილისის მერი აცხადებს, რომ ყვითელი ავტობუსები და მიკროავტობუსები კრიტიკულ მდგომარეობაშია. განცხადება კახა კალაძემ კონფერენციაზე – „ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შეფასების თაობაზე კონსენსუსის მშენებლობა“ გააკეთა.

„ყვითელ ავტობუსებს ყველანაირი რესურსი ამოწურული აქვთ, თუმცა მიდის მათი განახლება. დღეს რომ შევზღუდოთ და არ გამოვიყვანოთ, ხალხს ხომ სჭირდება გადაადგილება. რაც შეეხება მიკროავტობუსებს, ყველაზე მეტი მგზავრი გადაჰყავთ მათ დღეს. აქაც არის მძიმე მდგომარეობა. მათი 90% არის ძალიან ცუდ მდგომარეობაში. მგონია, რომ რესურსი ამოწურული აქვთ. დღეს რომ მათ ლიცენზია ჩამოვართვათ, მგზავრებს ხომ სჭირდებათ გადაადგილება, სერიოზულ პრობლემას წარმოქმნის. დღემდე დედაქალაქს არ ჰქონია სატრანსპორტო მასტერპლანი. ჩვენ მივიღეთ გრანტი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან და დავიწყეთ კვლევა, რომელსაც ატარებს კომპანია „სისტრა“. ჩვენ გვექნება ძალიან მალე სრული სურათი, თუ როგორი უნდა იყოს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, როგორი უნდა იყოს ხაზები, რა მიმართულებით. საერთოდ გვჭირდება თუ არა ე.წ. ყვითელი მარშრუტკები და ასე შემდეგ. როდესაც ეს კვლევა გვექნება, მერე ძალიან მარტივია გადაწყვეტილებების მიღება“, – განაცხადა კახა კალაძე.

კანდიდატები, ვით ფოთოლცვენა!

მთავარი პროკურორის პოსტზე კიდევ 6 კანდიდატის – გიორგი შაშიაშვილის, ნინო გოგნიაშვილის, ედიშერ ფუტკარაძის, შალვა თადუმაძის, ირაკლი ნადარეიშვილის და შალვა შავგულიძის წარდგინების წერილები შემოვიდა. სხვა კანდიდატთა მსგავსად, მათი წარდგინება საპროკურორო საბჭოს საიტზე – http://pc.gov.ge – აიტვირთა. წარდგენილი კანდიდატების ვინაობა, რეკომენდატორი ორგანიზაციები და სხვა დოკუმენტები ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომია.

გიორგი შაშიაშვილი მთავარი პროკურორის პოსტზე გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტმა წარადგინა; ნინო გოგნიაშვილი, ედიშერ ფუტკარაძე და შალვა თადუმაძე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა; ირაკლი ნადარეიშვილი თბილისის ღია უნივერსიტეტის რექტორმა ნოდარ პაპუკაშვილმა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერმა ვახტანგ წივწივაძემ და უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემიის“ დამფუძნებელმა მარიამ მესხიშვილი-ეფაძემ წარადგინეს; შალვა შავგულიძე – პოლიტიკური პარტიის – „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“ – გენერალურმა მდივანმა გიორგი (გიგი) უგულავამ.

დღეისთვის მთავარი პროკურორის პოსტზე 15 კანდიდატურაა წარდგენილი: პაატა შავაძე, ზურაბ ჯორბენაძე, გია ბერძენიძე, ნანა რევაზიშვილი, თამარ კერესელიძე, გრიგოლ გაგნიძე, იოსებ ბაჩიაშვილი, მაია ცაცანაშვილი, ჯემალ გახოკიძე, გიორგი შაშიაშვილი, ნინო გოგნიაშვილი, ედიშერ ფუტკარაძე, შალვა თადუმაძე, ირაკლი ნადარეიშვილი და შალვა შავგულიძე. კიდევ ერთმა კანდიდატმა, მთავარი პროკურორის მოქმედმა მოადგილემ გიორგი გოგაძემ, თავისი კანდიდატურა 22 ივნისს მოხსნა.

კანონის შესაბამისად, მთავარ პროკურორად შეიძლება, არჩეულ იქნეს ნასამართლობის არმქონე, უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს სისხლის სამართლის საქმეების განმხილველ მოსამართლედ, პროკურორად ან საერთო, ან სისხლის სამართლის სპეციალიზაციით სისხლის სამართლის საქმეებზე ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება, ან რომელიც არის სისხლის სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტი უმაღლესი სასწავლებლიდან ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციიდან და რომელსაც აქვს იურისტის პროფესიით მუშაობის არანაკლებ 10-წლიანი გამოცდილება. მთავარი პროკურორობის კანდიდატი თავისი ზნეობისა და პროფესიული თვისებების გამო მაღალი ავტორიტეტით უნდა სარგებლობდეს.

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 პრიმა მუხლის თანახმად, იუსტიციის მინისტრმა, საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარემ, მთავარი პროკურორის შესარჩევად საჯარო კონსულტაციები 4 ივნისს დაიწყო. აკადემიურ წრეებს, სამართლის დარგის სპეციალისტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს კანონით გათვალისწინებული წესით პროკურორობის კანდიდატების წარდგენა შეუძლიათ. კონსულტაციების მიმდინარეობის ერთთვიან პერიოდში მინისტრისათვის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვთ ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციას, აკადემიური წრეების დაინტერესებულ წარმომადგენელს ან სამართლის დარგის სპეციალისტს.

კონსულტაციების შედეგად იუსტიციის მინისტრი კანონით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით შეარჩევს და საპროკურორო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს მთავარი პროკურორობის არანაკლებ 3 კანდიდატს, რომელთა ერთი მესამედი მაინც განსხვავებული სქესის უნდა იყოს. მთავარი პროკურორობის კანდიდატების შესახებ წარდგინება უნდა დასაბუთდეს.

ხალხი იხოცება თოფით კი არა, მოწამლული პროდუქტით

პრემიერი მამუკა ბახტაძე ქართველების სიღარიბის მთავარ წყაროზე ალაპარაკდა. მისი თქმით, სიღარიბის მთავარი მიზეზი დისპროპორციაა და ეს მაშინ, როცა საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი დაკავებულია სოფლის მეურნეობით, ამ დროს კი ჩვენს ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის წილი 10%-იც არ არის.

თუ რატომ არ იზრდება ჩვენს ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის წილი, ამის შესახებ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერმუშაკს, პროფესორს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს ჯუმბერ ფანჩულიძეს ვესაუბრებით.

– რატომ არის დაკნინებული ჩვენი სოფლის მეურნეობა და, არაერთი დაპირების მიუხედავად, წლების განმავლობაში მის აღორძინებას საშველი რატომ არ დაადგა?

– წინა მთავრობის პერიოდში, ანუ სააკაშვილის დროს, უცხოეთიდან შემოტანილ პროდუქციაზე ბაჟი მოიხსნა. დისტრიბუციის ეს მაფიოზური მდგომარეობა დღესაც მოქმედებს და მაშინაც მოქმედებდა. მე არ ვიცი, დისტრიბუტორებმა ჩააწყვეს, თუ მაშინდელ მთავრობას მოუვიდა ასეთი რამ თავში, მაგრამ ეს იყო ჩვენი სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი უდიდესი დანაშაული. ეს ნიშნავდა, რომ სახელმწიფომ საკუთარ პროდუქციაზე ხელი აიღო. როგორც კი შემოტანილ პროდუქციაზე ბაჟი მოიხსნა, გაჭირვებულ ხალხს გაუხარდა, მათ იფიქრეს, რომ პროდუქცია გაიაფდებოდა, საქართველოში ყველა პროდუქტი შემოვიდოდა, სინამდვილეში, ეს საშინელება იყო. ამით დაიღუპა ჩვენი ქვეყნის აგროწარმოება. თუკი სადმე რაიმე ჩაწოლილი, იაფფასიანი, გადასაყრელი, გაუბედურებული პროდუქცია იყო, საქართველოში შემოვიდა. თანაც, საბაჟოზე შემოტანისას არც კი მოწმდებოდა. ამით ჩვენი ხალხი დაიწამლა. გარდა ამისა, შემოტანილმა პროდუქციამ ბაზარზე ფასები დააგდო, გლეხმა ნატურალური პროდუქცია ვერ გაყიდა, რადგან ძვირი უჯდებოდა მისი მოყვანა. შემოსავალი გლეხს აღარ ჰქონდა, ამიტომაც მიატოვა მიწა და ქალაქში წავიდა ორი კაპიკის საშოვნელად. მიწები აღარ დამუშავდა და დღემდე ასეთი მდგომარეობაა.

– იმპორტიორების მიერ განგებ დაგდებული ფასებით გაჭირვებაში მყოფმა ქალაქის მოსახლეობამ ისარგებლა, რადგან ქალაქელები ვერ შესწვდებოდნენ გლეხის მიერ ნატურალურ პროდუქციაზე დადებულ მაღალ ფასებს. იმ დროს ქალაქის მკვიდრთ სხვა არჩევანი არც ჰქონდათ.

– ქალაქის მოსახლეობამ ისარგებლა, მაგრამ ამით, ფაქტობრივად, მოიწამლნენ. სხვათა შორის, 1976-78 წლებში ჩემს ოჯახთან ერთად ვმუშაობდი სირიის არაბთა რესპუბლიკაში, როგორც სპეციალისტი სამელიორაციო ხაზით. იქ ყველაფერს ვაკვირდებოდი და მახსოვს, რომ სირიაში პროდუქციის ჩამბარებელი პუნქტები იყო ბაზრები. გლეხი მიდიოდა ამ ბაზრებში, აბარებდა პროდუქციას, გამოკრულიც იყო დაფა, რომელზეც ცარცით ეწერა, ამა თუ იმ დღეს რა ღირდა ესა თუ ის პროდუქტი. ფაქტობრივად, სახელმწიფო ეხმარებოდა გლეხს იმით, რომ მიმღებ პუნქტებში მყოფ გადამყიდველებს უფლება არ ჰქონდათ, 20%-ზე ზევით ფასნამატი დაედოთ ჩასაბარებელ პროდუქციაზე. ე.ი. სახელმწიფო არეგულირებდა ფასების ზედა ზღვარს, **ჩვენთან კი დღემდე გლეხს არ უშვებენ ბაზრებში, გადამყიდველები ყიდულობენ მის პროდუქციას 80 თეთრად, ან ლარად და მერე 3 ლარად, ან 3,5 ლარად ყიდიან. ეს კატასტროფაა.**

– გადამყიდველების საქმიანობაში სახელმწიფო, ალბათ, იმიტომ არ ერევა, რომ ფიქრობს, თავისუფალი ბაზარი ფასებს თავად დაარეგულირებს.

– დღემდე ეს ვერ გააკეთეს კი არა, არ გააკეთეს, რადგან დისტრიბუცია მუშაობს, დისტრიბუცია დიდ ფულს ყრის სახელმწიფო აპარატშიც კი. ამ გადამყიდველებში, ძირითადად, მოიაზრებიან ლტოლვილები და ლტოლვილებს ამოფარებული გლეხები, რომლებმაც მიატოვეს მიწა და წავიდნენ დედაქალაქში.

– არავისთვის უცხო არ არის, რომ იმპორტიორების მიმართ ლოიალური დამოკიდებულება და ხელოვნურად დაგდებული ფასები იმით აიხსნებოდა, რომ იმპორტიორებს ყოველ მთავრობაში ლობისტები ჰყავდათ. ამჯერად, თუკი მამუკა ბახტაძე იმპორტულ პროდუქციას ადგილობრივით ჩაანაცვლებს, ეს ხომ არ აღმოჩნდება წინააღმდეგობაში ლობისტებთან, რომლებიც, ალბათ, დღესაც არიან შემორჩენილი?

– წლების განმავლობაში დისტრიბუცია იმდენად დიდ თანხებს ატრიალებდა, რომ, რა თქმა უნდა, ჩაითრია მმართველი აპარატი. თუმცა 2007-08 წლებთან შედარებით, ჩვენმა ხალხმა ცოტა სული მოითქვა, ცხოვრების დონემ აიწია და **ხალხს ურჩევნია, ნატურალურ პროდუქციაში უფრო ძვირი გადაიხადოს, ვიდრე მოიწამლოს და შეიმოკლოს სიცოცხლე. ხალხი ამას უკვე მიხვდა. იქნებ, ნელ-ნელა ისე ავღორძინდეთ, რომ უარი ვთქვათ ამ „ხლამზე“ და შემოტანილ უგედურებაზე. ამას აუცილებლად უნდა მოჰყვეს ხარისხის ამაღლება, ნატურალური პროდუქციის წარმოებისთვის ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარება.** ტექნოლოგიას კი სჭირდება სწავლება, პროფსასწავლებლები, რისი შექმნაც უკვე იგეგმება. მაგალითად, მელიორაციის ხაზით ჩვენ უკვე გვთხოვეს, პედაგოგების შესახებ მიგვეცა რეკომენდაცია.

– ერთი პერიოდი, ანტიდემპინგური კანონიც შემოიღეს და ცდილობდნენ, ამით დაეცვათ ადგილობრივი პროდუქცია უცხოურისგან, თუმცა არავის ჰქონდა მოლოდინი, რომ ეს კანონი 100%-ით იმუშავებდა, რადგან, ფაქტობრივად, ჩვენი ბაზარი წალეკილი იყო თურქული, ჩინური მდარე ხარისხის პროდუქციით. თუკი ახალმა კანონებმაც არ იმუშავა, მაშინ რისი გაკეთება შეეძლება მამუკა ბახტაძეს?

– თუ სახელმწიფო აუცილებლად გასცემს გლეხებზე ლიზინგით ან კრედიტით ტექნიკას და ხალხი ადვილად დაამუშავებს მიწას, უფრო მეტი პროდუქციაც შეიქმნება და შედარებით დაიწევს ფასებიც. სად თოხით მოყვანილი პროდუქტი და სად ტექნიკით მოყვანილი?!

– მაგრამ აქ ერთი უმთავრესი პრობლემაა – სოფელში ჩახვალ და ხშირად გლეხკაცს ვერ იპოვი. დარჩა კი სოფლად მუშახელი, რომელსაც მიწასთან შრომა არ ეზარება, ვინც ნამდვილი გლეხია და არა მოვაჭრე?

– ხალხმა მიატოვა მიწა, რადგან მათ არსებობა უნდოდათ. ეს ადამიანები აუცილებლად დაბრუნდებიან სოფლად. ხალხი მთასაც დაუბრუნდება, თუკი მათ მიწას დაუბრუნებენ, მისცემენ და არ გააწამებენ ბიუროკრატიული საბუთობანას მოთხოვნით. მით უმეტეს, მთაში ტურიზმი ვითარდება და ტურიზმის განვითარება გამოიწვევს, რომ გლეხს პროდუქცია გაუსაღდება. თორემ როგორ შეიძლება უვარგისი პროდუქციის შემოტანა და ადამიანების დაწამვლა? იხოცება ხალხი, თოფით არ იხოცებიან, მაგრამ დაავადებები უვითარდებათ.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

„დანაშაული და სასჯელი“,

ანუ ოთოია კახიძის ვნებანი

ხორავას ქუჩაზე მომხდარი საზარელი მკვლელობის გამო შექმნილი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის სხდომის მასალებს აქვეყნებს ბეჭდვითი და ელექტრონული მედია და, ბუნებრივია, მთელი საზოგადოება ყურადღებით ადევნებს თვალს ამ პროცესს.

ყველანი დაინტერესებული ვართ ჭეშმარიტების დადგენით, რათა სამართალმა იზეიმოს. ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს ასეც მოხდება, მაგრამ...

სამართლიანობის აღდგენის პარალელურად, არ უნდა ხდებოდეს პროკურატურის, როგორც სტრუქტურის, დისკრედიტაცია. სამწუხაროდ, პუბლიკაციებს თუ გავაანალიზებთ, ამ ელემენტებს ვხედავ ყველა მხრიდან.

პროკურატურის ადვოკატობას პირადად მე არ ვაპირებ, მით უმეტეს, რომ ორ წელია, სისტემატურად ვაქვეყნებ მწვავე პერსონალურ კრიტიკას პროკურატურის უკვე ყოფილი თავკაცის ირაკლი შოთაძის (და მისი „საძმოს“) მისამართით. და ვერავითარი „დიპლომატიურ“-პრაგმატული „ფერება-მიალერსება“, გაუღერებული (ჩემდა გასაკვირად) ყველაზე მაღალი სტატუსის მატარებელი პატივცემული გვამების მხრიდან, ისევე, როგორც ღიმილისმომგვრელი „ლუღლუღი“ მის ე.წ. განსაკუთრებულ კომპეტენტურობაზე, ნიჭსა და პატიოსნებაზე, რომლის შედეგიც პარლამენტის წინ მიტინგების სახით ვიხილეთ, თანაც, ამ ლანძღვა-გინების ფონზე თანამდებობიდან მისი გაცილება სამარცხვინო ოვაცია-ტაშით, ვერ შემაცვლევინებს მყარად ჩამოყალიბებულ პირად შეხედულებას იმის თაობაზე, რომ კეზერაშვილ-ფარცხალაძის მეთვალყურეობითა და მზრუნველობით საფინანსო პოლიციაში დაფრთიანებული ამ „ვარსკვლავბიჭუნას“ დანიშვნა სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოსტზე იყო, ჩემი აზრით, კატასტროფული შეცდომა და საზოგადოებამ არა მარტო უნდა იცოდეს, ვინ იყო (იყვნენ) მისი რეკომენტატორები, არამედ მათ უნდა გაიზიარონ პასუხისმგებლობა იმ მოვლენებზე, რომელსაც მოჰყვა ხელისუფლების დისკრედიტაციის არნახული გამოვლინება მთავრობის გადადგომის ჩათვლით. არა მგონია, ვინმეს ეჭვი ეპარებოდეს იმაში, რომ სახელმწიფოს მხრიდან ამ ბეწვის ხიდზე გავლისას საფრთხის საშიშროებას სწორედ ექსპროკურორის უთავო-მოთავეობას უნდა ვუმადლოდეთ (სხვა მიზეზებზე მოგვიანებით).

მაგრამ, არსად და არასოდეს ეს ჩემი მოსაზრება არ გამიიგივებია ზოგადად და საერთოდ მთელ მთავარ პროკურატურასა და მთელ სისტემაზე. ეჭვიც არ მეპარება, რომ იქ ცოტა როდია მართლა კომპეტენტური, მართლა პრინციპული და მართლა წესიერი მუშაკი, რომელთა მიმართ ახლაც ვადასტურებ პირად პატივისცემას.

მაგრამ, ის შეურაცხყოფის, მუქარის, უპატივცემულობის აშკარა გამოვლინებები, რაც ამ კომისიის სხდომაზე ცალკეულ შემთხვევაში პროკურატურის წარმომადგენელთან (და არა მარტო) დაკავშირებით ხდება, ყოველგვარ ზნეობრივ, კანონიერ და, თქვენ წარმოიდგინეთ, პოლიტიკური „თამაშების“ საზღვრებს ცილდება.

განსაკუთრებით ამაზრზენია საზოგადოების ერთი ნაწილისთვის მეტის-მეტად კომიკური ფიგურის, იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილის ივ.მერაბიშვილის ადვოკატად ცნობილი ოთარ (იგივე, ოთო, ოთოია) კახიძის მხრიდან დაკითხვის ფორმა-ტონალობის სტილი. მისი მხრიდან დაუფარავად სრულდება საჯაროდ გამოთქმული მუქარა-დაპირება მმართველი გუნდისთვის და მასთან გაიგივებული სახელმწიფო სტრუქტურებისთვის „ნიღბის ჩამოხსნის“ თაობაზე.

> ვიმეორებ: სამართალმა პური უნდა ჭამოს და ყველანი მივესალმებით, თუ დადგენილი იქნება ჭეშმარიტება და დაისჯება ყველა(!!!) დამნაშავე. მაგრამ, ისე არ ვქნათ, რომ ნაბან წყალს ბავშვიც გადავაყოლოთ. თუ მაინცდამაინც „გადაყოლება“ გინდათ, ბარემ გადააყოლეთ... თავად ოთოია კახიძე.

ისე, ვისაც ეხება, მათ გირჩევთ, შეამოწმოთ, დეპუტატი ოთოია პარლამენტშიც ხომ არ დადის გურული ფირალივით ქამარში გარჭობილი იარაღით და ამით ხომ არ აქვს დიდი გული ამ... ჭკუით, გონებით, ინტელექტით უმწიფარ და წვერ-ულვაშ-აღნაგობით ნამეტნავად ბუმბერაზ(!) კაცს?

თუ როგორია მისი „სიდიდე“, ერთხელ უკვე გავაცანი საზოგადოებას შეკითხვით: „ოთო, შენ დედა თუ გყავს?“ (https://www.facebook.com/nugzar.popkhadze/posts/1278200868905073). რაც შეეხება იარაღისადმი კანონის ვითომ პატივისმცემელ დეპუტატის,,,რეიტინგული“ ადვოკატის, უგანათლებულესი იურისტის, სახელმწიფოებრივად ნამეტნავად მოაზროვნე და მეტისმეტად „ზრდილი“ მოქალაქის პათოლოგიურ სიყვარულს, ეს შეიძლება იხილოთ „პალიტრანიუსის“ ტელეპუბლიკაციაში (https://www.facebook.com/nugzar.popkhadze/posts/1502293639829127).

მიდი, ოთო, შენ დაუკა!!!!

ნუგზარ ფოფხაძე

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის შემოსავალი 1 ივლისიდან 1%-იანი განაკვეთით იბეგრება

1 ივლისიდან მცირე ბიზნესის წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით ძალაში შევიდა დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმი. მასშტაბური საგადასახადო ცვლილება 120 ათასამდე მეწარმე ფიზიკურ პირს შეეხება — ამასთან დაკავშირებით, დღეს, ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, შემოსავლების სამსახურის უფროსმა გიორგი თაბუაშვილმა ბრიფინგი გამართა.

ახალი საგადასახადო რეჟიმი ერთი მხრივ, აწესებს მინიმალურ საგადასახადო ტვირთს (1%) მცირე ბიზნესისთვის, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს მეწარმეებისთვის გამარტივებული საგადასახადო აღრიცხვის მეშვეობით, მინიმუმამდე შემცირდეს საგადასახადო ადმინისტრირების დანახარჯები. აღნიშნული რეფორმის შედეგად, მთლიან შიდა პროდუქტში მნიშვნელოვნად გაიზრდება მცირე ბიზნესის წილი. ახალი საგადასახადო რეფორმა უზრუნველყოფს სექტორის უფრო მეტ გამჭირვალობას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მცირე მეწარმეებს უფრო მეტად ჰქონდეთ წვდომა ფინანსურ რესურსებზე. დაბეგვრის შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი მნიშვნელოვანი სტიმულია მცირე ბიზნესის შემდგომი განვითარებისთვის საქართველოში.

როგორც თაბუაშვილმა განმარტა, საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, მცირე ბიზნესის სტატუსი ენიჭებათ მეწარმე ფიზიკურ პირებს, რომელთა ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში იქნება 500 000 ლარამდე, ნაცვლად მანამდე არსებული 100 000 ლარისა. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი მიმდინარე წლის 1 ივლისიდან იბეგრება 1%-იანი განაკვეთით, ნაცვლად 5%-სა. ამასთან, 500 000 ლარზე გადაჭარბების მიუხედავად, პირს მცირე ბიზნესის სტატუსი უნარჩუნდება 2 კალენდარული წლის განმავლობაში — განაცხადა შემოსავლების სამსახურის უფროსმა გიორგი თაბუაშვილმა.

ცვლილების თანახმად, მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების საფუძველი აღარ იქნება მეწარმე ფიზიკური პირის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის ფაქტი. ამასთან, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი არ იხდის მიმდინარე გადასახდელებს და დეკლარირებას განახორციელებს ყოველთვიური მარტივი დეკლარაციის ფორმის მეშვეობით.

ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყო

აბიტურიენტებმა პირველი გამოცდა ქართულ-ენასა და ლიტერატურაში ჩააბარეს. რეგისტრაცია 08:00 საათზე დაიწყო, გამოცდა კი 09:00 საათიდან მიმდინარეობდა. წელს გამოცდებს 39 000 აბიტურიენტი აბარებს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების განრიგში ცვლილებებია:

გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, უახლოეს დღეებში (2 და 3 ივლისს) მოსალოდნელი განსაკუთრებით ცხელი დღეების გამო, შეიცვალა ერთიანი ეროვნული გამოცდების (ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდისა და ზოგადი უნარების გამოცდის) განრიგი.

„ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე 3 ივლისს, 14:00 საათზე განაწილებული აბიტურიენტები გამოცდას ჩააბარებენ 5 ივლისს, 08:00 საათზე (სესიისათვის რეგისტრაცია დაიწყება 08:00 საათზე, გამოცდა — 09:00 საათზე).

5 ივლისის ზოგადი უნარების გამოცდის პირველი და მეორე სესია ჩატარდება 7 ივლისს, ანალოგიური თანმიმდევრობით. ანუ, თუ აბიტურიენტი განაწილებული იყო 5 ივლისს 08:00 საათზე, იგი ზოგადი უნარების გამოცდას 7 ივლისს, 08:00 საათზე ჩააბარებს (სესიისათვის რეგისტრაცია დაიწყება 08:00 საათზე, გამოცდა — 09:00 საათზე), ხოლო თუ აბიტურიენტი განაწილებული იყო 5 ივლისს 14:00 საათზე, იგი გამოცდას ჩააბარებს 7 ივლისს 14:00 საათზე (სესიისათვის რეგისტრაცია დაიწყება 14:00 საათზე, გამოცდა 15:00 საათზე).

6 ივლისს გამოცდები უცვლელად ჩატარდება“, — აღნიშნულია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მათივე ცნობით, იმის გათვალისწინებით, რომ აბიტურიენტების უმეტესობას უკვე ამობეჭდილი აქვს საგამოცდო ბარათი, აბიტურიენტის გვერდზე განთავსებულ ელექტრონულ ბარათში ცვლილებები აღარ შევა. აბიტურიენტი გამოცდაზე პირადობის მოწმობითა და საგამოცდო ბარათით უნდა გამოცხადდეს.

მიმინოშვილმა სასტუმროებს ვერ დავიქირავებო!..

განათლების მინისტრის განცხადებას ეროვნული გამოცდების გაზაფხულზე ჩატარების ინიციატივასთან დაკავშირებით გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი ეხმაურება. მიმინოშვილის თქმით, გამოცდების გაზაფხულზე ჩატარებაში შენობების კუთხით პრობლემა არსებობს:

„მე, რა თქმა უნდა, ვიქნები ბედნიერი ისეთ პირობებში ჩატარდეს გამოცდები, როდესაც პრობლემა არ იქნება სიცხე. მე რომ მქონდეს შესაძლებლობა, გაზაფხულზე ან შემოდგომაზე ჩავატარო გამოცდები, იქნება ძალიან კარგი. ერთადერთი აქ პრობლემას ვხედავ შენობის თვალსაზრისით, რადგან სკოლა ფუნქციონირებს გაზაფხულზე და სასტუმროებს ვერ დავიქირავებ საგამოცდო პროცესის წასამართად. ისევ სკოლის შენობები მჭირდება და უნივერსიტეტები, თუმცა სასწავლო პროცესი მიმდინარეობს და მე არ ვიცი, შუალედს როგორ მოვნახავთ. შესაძლებელია ამაზე დაფიქრებაც და რაიმე ფორმის მოძებნა“, — განაცხადა მიმინოშვილმა.

სარალიძე კალანდიას დაკავებას შსს-ს ეზოში მჯდომარე აქციით ითხოვს!

ზაზა სარალიძე მიხეილ კალანდიას დაკავებას შსს-ს ეზოში მჯდომარე აქციით ითხოვს. ზაზა სარალიძე შსს კრიმინალური პოლიციის უფროსს მამუკა ჭელიძეს შეხვდა. ჭელიძემ სარალიძეს განუცხადა, რომ საგამოძიებო კომისიის რეკომენდაციის მიუხედავად, მიხეილ კალანდიას დაკავების საფუძველი ამჟამად არ არსებობს.

ინტელიგენცია და სტომაქიგენცია

**„მათ, ვისაც სწავლა და
სურვილი ჰქონდათ დიადი,
ცოდნის ლამპარით რომ
აეხსნათ დღის განთიადი,
გვითხრეს ზღაპრები
სათითაოდ და მიიძინეს,
ისე, რომ ოდნავ ვერ
გაფანტეს ღამის წყვდიადი“**

ომარ ხაიამი

ინტელიგენტოლოგები ორი საუკუნეა, იკვლევენ ინტელიგენციის რაობას, ოცდაათამდე კრიტერიუმი შემოგვთავაზეს, სამასამდე განსაზღვრება გააკეთეს, მაგრამ ერთ ცდომილებას ვერ გასცდნენ: თითქოს ინტელიგენცია იყოს ყველა, ვინც გონებრივ საქმიანობას ეწევა – მეცნიერები, მწერლები, მსახიობები, პედაგოგები, მომღერლები და ა.შ., განურჩევლად იმისა, თუ რას წერენ, რას მეცნიერობენ, რას და როგორ ასწავლიან, რას ან ვის უმღერიან.

მაგრამ ადამიანი შეიძლება გონებრივ საქმიანობას ეწეოდეს და – გონებაზე არ იყოს! გონებაზე ყოფნა ჰქვია, მაგალითად, მწერლის მიერ ჰიტლერის განდიდებას და სტალინის დამცირებას?! ლიტერატურათმცოდნის მიერ ამ შეუსაბამობის გამართლებას?! ისტორიკოსის მიერ ისტორიის გაყალბებას?! ჟურნალისტის მიერ ხელისუფლების სიცრუის ტირაჟირებას?! მომღერლის მიერ მიტინგის დამრბევი პრეზიდენტისათვის „ჩემი გმირი გიწოდეს“ მღერას?! პოეტისა და პროფესორის მიერ, ხალხის სისხლშეუმშრალ მოედანზე, მისგან ჯილდოს აღებას და ა.შ.

ინტელიგენციის არსი ინტელექტის პატივისცემაშია, მისი იმ დანიშნულებისათვის გამოყენებაში, რისთვისაც ის არის შექმნილი და მოწოდებული. ის ე.წ. „გონებრივი საქმიანობის“ ადამიანები კი, რომლებიც პატივს არ სცემენ საკუთარ გონებას (თუმცა გონება, როგორც სინდისი და ჭეშმარიტება, საკუთარი არ არსებობს) და სტომაქის ამოვსების საშუალებად იყენებენ მას, სტომაქიგენციაა და არა ინტელიგენცია.

ფილოსოფოს ისაია ბერლინის აზრით, „ინტელიგენცია არ უნდა ავურიოთ ინტელექტუალებში. ისინი, ვინც მიეკუთვნებიან პირველს, თვლიან, რომ დაკავშირებული არიან არა უბრალოდ ინტერესებით ან იდეებით; ისინი ხედავენ, რომ თავიანთ თავს უძღვნიან რაღაც ორდენს, თითქოს მსოფლიოს მწყემსები არიან, დანიშნული იმისათვის, რომ ატარონ ცხოვრების განსაკუთრებული გაგება, ერთგვარი ახალი ევანგელე“.

რა არის კონკრეტულად ეს ორდენი, ცხოვრების განსაკუთრებული გაგება და ახალი ევანგელე?

ორდენი, რომელსაც თავს უძღვნის ინტელიგენცია, რა თქმა უნდა, განმანათლებლობაა, ცხოვრების განსაკუთრებული გაგება – ადამიანთა თავისუფლებისა და თანასწორობის იდეალი (რადგან უთანასწორობოდ არ არსებობს თავისუფლება), ახალი ევანგელე კი – სოციალიზმი, სადაც შეიძლება, განხორციელდეს ეს იდეალი.

და შემთხვევითი არ არის, რომ განმანათლებლობამ შვა საფრანგეთის დიდი რევოლუცია, მისი დევიზი - Liberte, Egalite, Fraternite, („თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“), ჰიმნი – „ინტერნაციონალი“ („აღსდექ, ტანჯვითა დაღდასმულო, ქვეყანავ მშიერ მონების, საბედისწერო ომში გვიწვევს ჩვენ აღშფოთება გონების...“) და „ადამიანისა და მოქალაქის უფლებების საყოველთაო ქარტია“, რომლებიც, ფაქტობრივად, სოციალისტური სულისკვეთების გამოხატულებებია.

სოციალიზმი, როგორც განმანათლებლობის იდეალი, მისი საბოლოო მიზანია, რამდენადაც თანასწორობის იდეალს ალტერნატივა არა აქვს. მისი ალტერნატივები ფეოდალური ან ოლიგარქიული უთანასწორობებია.

ამ თვალსაზრისით, დაზუსტებას საჭიროებს კანტის დებულება, რომლის თანახმად, განმანათლებლობა უსასრულო პროცესია: „ერთ ეპოქას არ შეუძლია შეთანხმდეს და დაიფიცოს, რომ მისი მომდევნო ეპოქა ისეთ მდგომარეობაში ჩააგდოს, რომელშიც შეუძლებელი იქნება მისი (პირველ რიგში, ყველაზე აუცილებელი) შემეცნება გაფართოვდეს, შეცდომებისგან გაიწმინდოს და განმანათლებლობის საქმეში წინ წაიწიოს. ეს იქნებოდა დანაშაული ადამიანის ბუნების წინააღმდეგ, რომლის პირველადი განსაზღვრება სწორედ ამ წინსვლაში მდგომარეობს; ხოლო შთამომავლებს სრული უფლება აქვთ, უარყონ ის გადაწყვეტილებები, რომლებიც უკანონოდ და დანაშაულებრივად იქნა მიღებული“ („რა არის განმანათლებლობა?“).

სოციალიზმის კორექცია შეიძლება და აუცილებელია, და ეს არის უსასრულო განმანათლებლობის საქმე, მაგრამ არა მისი ფუნდამენტური შეცვლა ფეოდალიზმით ან ოლიგარქიზმით, როგორც მას, მაგალითად, მიშელ ფუკო „ანვითარებს“.

მაგრამ თუ განმანათლებლობის არსი ადამიანის თავისუფლების დამკვიდრებაშია და არ არსებობს თავისუფლება თანასწორობის გარეშე, მაშინ თანასწორობა უნდა იყოს განმანათლებლობის საბოლოო მიზანი, რადგან მისი „წინ წაწევა“ ახალ უთანასწორობაში გადასვლას და განმანათლებლობის აზრის დაკარგვას მოასწავებს, რაც მოხდა კიდეც ევროპასა და მსოფლიოში.

ინტელიგენცია განმანათლებლობის ორდენია, მსოფლიო მწყემსების ორდენი.

ამ გაგებით, არასწორია ინტელიგენციის ეროვნული ინტერპრეტაცია, თითქოს იგი ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოების ფენა იყოს. აქედან გამოთქმები: „ქართველი ინტელიგენცია“, „რუსი ინტელიგენცია“, „ფრანგი ინტელიგენცია“ და ა.შ.

პ.დ. ბობორიკინის აზრით, მაგალითად, ინტელიგენცია არის „მოცემული ქვეყნის საზოგადოების ყველაზე განსწავლული, კულტურული და მოწინავე ფენა“.

ლარუსის ლექსიკონის გაგებითაც, ინტელიგენცია არის „ქვეყნის ინტელექტუალების ერთობა“ (Ensemble des intellectuels d’un pays).

ისაია ბერლინის გაგება კი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ იგი ინტელიგენციას „მსოფლიოს მწყემსების ორდენად“ განიხილავს. მართლაცდა ვინ ჩატევს ეროვნულ ჩარჩოში ჰომეროსს, რუსთაველს, შექსპირს, ჰიუგოს, გოეთეს ან, თუ გნებავთ, ილიასა და ვაჟას?! ისინი ფორმით – ეროვნული, შინაარსით - ზოგადკაცობრიული არიან.

რაც შეეხება ინტელექტუალების განსხვავებას ინტელიგენციისგან, იგი ასე შეიძლება გამოიხატოს: ინტელიგენცია ინტელექტუალების ერთობაა, მაგრამ ინტელექტუალების ერთობა ჯერ კიდევ ინტელიგენცია არ არის; იგი მხოლოდ მაშინ არის ინტელიგენცია, როცა ნამდვილი ინტელექტუალები არიან, ნამდვილები კი მაშინ არიან, როცა თავს უძღვნიან იმავე ორდენს და ატარებენ ცხოვრების იმავე განსაკუთრებულ გაგებასა და ახალ ევანგელეს, როგორსაც ინტელიგენცია, ანუ ადამიანთა თანასწორობის პოზიციაზე დგანან და არა უთანასწორობის.

მერაბ მამარდაშვილის აზრით, „ადამიანის მდგომარეობის ტრაგედია ან დრამა მდგომარეობს იმაში, რომ მან არ იცის, რა ადგილი უკავია“.

გალაკტიონს, ჩანს, სცოდნია, სად უნდა მდგარიყო: „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი, ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს ჩვენ, პოეტები საქართველოსი!“

ბატონ მერაბს კი, მიუხედავად მისი დიდი ფილოსოფოსობისა, სამწუხაროდ, არ სცოდნია, სად უნდა მდგარიყო: ფეოდალური უთანასწორობის პერსპექტივას კი უპირისპირდებოდა, მაგრამ, სოციალისტური თანასწორობის ნაცვლად, ფაქტობრივად, ოლიგარქიული უთანასწორობის პერსპექტივაზე აკეთებდა არჩევანს!

არადა, ბავშვმაც კი იცის, ადამიანი სად უნდა იდგეს.

საოცარი ლექსია ჰიუგოს „„ბარიკადებზე“:

„ბარიკადებზე, სად ქვაფენილებს
მშრომელთ უმანკო სისხლი
სდიოდათ...
... სისხლით დამთვრალმა
ჯალათთა რაზმმა
დააპატიმრა ბავშვი პატარა...“

ამ თვალსაზრისით, მწერლის მიერ ჰიტლერის განდიდება და სტალინის დამცირება ინტელიგენციის ჩარჩოში ვერ ჯდება: „დიახ, ჰიტლერი მართლაც ახალი ადამიანია, უფრო ზუსტად: ადამიანის ახალი ხატი. მის სტიქიაში მარად სასიკეთო ინტერფერენციის სახით შემოქმედებითად იძვრის ცალკეულ ადამიანსა

და პირველმდგენს შორის დაძაბულობის შემქმნელი ცენზურა“; „ლენინმა სტალინს „ლეგენდარული ქართველის“ სახელი ამოატვიფრა. სტალინში ლეგენდარული ჭარბადაა, ქართული კი ოდენ მწირად. საქართველოში სტალინის ხასიათის თავისებურებებს მისი წარმომავლობით ხსნიან: მამამისი წარმოშობით ოსი იყო... გაქვავებული თავი პრეისტორიული ხვლიკისა: ასეთი სახელდება მას მისმა ოდინდელმა თანამოსაგრემ მისცა. თავად ის, ალბათ, ვერც ხვდებოდა, თუ საგნის არსს რამდენად მოახვედრა... სტალინი კანს იცვლიდა, ვითარცა გველი...“

ჰიტლერისა და სტალინის გათანაბრებით დღეს ბევრი ვინმე თვალთმაქცობს, მაგრამ პირველის წინ დაყენება თვით ყველაზე უტიფარ თვალთმაქცებსაც ჯერჯერობით თავში არ მოსვლიათ. ჩვენი მწერალი კი ამას 85 წლის წინათ, 1933 წელს აკეთებს!

მართალია, პირველს ჯერ გაზის კამერები არ აქვს მოწყობილი, მაგრამ არც მეორეს აქვს 37 წელი ჩატარებული!..

ამაზეა ნათქვამი: აბილაურის პატრონი ტყეში დავეძებ კუნელსაო.

საკითხავია: ჰიტლერის სიყვარულით სძულდა სტალინი, თუ სტალინის სიძულვილით უყვარდა ჰიტლერი?

ვისაც თავისი არ უყვარს, სხვას ვერ შეიყვარებსო და – თავისიანის მოძულეს როგორ შეუყვარდა სხვა – ჰიტლერი?!

თუმცა სტალინი, ჩანს, თავისად არ მიაჩნდა: „მამამისი წარმოშობით ოსი იყო“!

რა უშავდა, მარტო „ოსობაში“ რომ იყოს საქმე და ქართველს ყველა ქართველი თავისად მიაჩნდეს?!

ნიკოლაი ბერდიაევის განმარტებით, „ნაციონალიზმი კოლექტიური ეგოიზმია“. „არისტოკრატია“, ამ სიტყვის სეგრეგაციული გაგებით (რადგან მას კარგი გაგებაც აქვს: ევროპელი და რუსი განმანათლებლები, დიდ ილია ჭავჭავაძესთან ერთად, ყველანი არისტოკრატები იყვნენ, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ, ეროვნულ ერთიანობასთან ერთად, კაცობრიულ ერთიანობასაც ქადაგებდნენ), ნაციის ეთნიკურ ნაწილზე უფრო შეზღუდული ცნობიერებაა. თუ ნაციზმი ნაციის ეთნიკური ნაწილის კოლექტიური ეგოიზმია, „არისტოკრატიზმი“ – ეთნოსის ნაწილის კოლექტიური ეგოიზმი.

ნაციონალიზმი, ნაციზმი, რასიზმი, შოვინიზმი, არისტოკრატიზმი, მონარქიზმი, ფეოდალიზმი, ძურდული მენტალიტეტი და ყველაფერი, რაც ადამიანებს ყოფს და ერთმანეთთან აპირისპირებს,– კოლექტიური ეგოიზმის სახესხვაობებია; ყველა სახის ეგოიზმის არსი კი სტომაქის ამოვსებაში მდგომარეობს, რასაც არაფერი ესაქმება ინტელექტთან და ინტელიგენციასთან.

ცნობილი მწერლისა და ლიტერატურათმცოდნის როსტომ ჩხეიძის ახსნით, „ქართველთა მცირე ნაწილის გარკვეულწილად კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ფაშისტების მიმართ რუსეთისგან თავის დაღწევისა და ბოლშევიზმის დამხობის სურვილით უნდა იყოს განპირობებული“.

რუსეთისგან თავის დაღწევის სურვილი გასაგებია, მაგრამ ბოლშევიზმის დამხობის სურვილი – გაუგებარი და უმადური. აღარაფერს ვამბობ ფაშისტების მიმართ გარკვეულწილად კეთილგანწყობილ დამოკიდებულებაზე!

რუსეთისგან თავის დაღწევის სურვილი ქართველთა მცირე ნაწილში იმიტომ არის გასაგები, რომ მისი უბედურება რუსეთიდან დაიწყო, როდესაც იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ ბატონყმობა გააუქმა რუსეთში და ქართველთა მცირე ნაწილი (რუსთა მცირე ნაწილთან ერთად, მაგრამ რუსები ჯანდაბას!) უყმებოდ დატოვა!

უყმებოდ ქართველთა მცირე ნაწილი რაღა მცირე ნაწილია?! მამულები და წოდებები კი დარჩათ, მაგრამ ცარიელი მამული და წოდება რა ბედენაა?! ქართველთა მცირე ნაწილი მიწაზე მუშაობას ჩვეული არ იყო და – მამულები თავისით ხომ ვერ დამუშავდებოდა?! რისი ჩვეულიც იყო – ქეიფი და დროსტარება გახლდათ („მასვი, მაჭამე, მალხინე, მრავალჟამიერ მასმინე“), ქეიფსა და დროსტარებას კი ფული სჭირდებოდა, ისიც იძულებული იყო, მამულები გა-

ეყიდა და ფული ქეიფსა და დროსტარებაში გაეფლანგა, რისთვისაც „გიჟვრაცუას“ წოდება დაიმსახურა და, ბოლშევიკებსა და სტალინს სულზე რომ არ მოესწროთ, საქართველოს გაყიდვასთან ერთად, ქართველთა მცირე ნაწილს, თეიმურაზ ხევისთავებივით, „ჯაყოების“ მოჯამაგირეობა ელოდათ!

ნიკო ლორთქიფანიძემ „იყიდება საქართველო“ 1910 წელს დაწერა, როცა ისევე იყიდებოდა საქართველო, როგორც დღეს. მწერალი მოუწოდებდა თავის თანამემამულეებს, რომ არ გაეყიდათ მამულები, რადგან ამით, საქართველოსთან ერთად, იყიდებოდა მათი საარსებო წყაროც და უმამულოდ დარჩენილებს თავიანთსავე გაყიდულ მამულებში ხიზნობა და მოჯამაგირეობა ელოდათ. მაგრამ მოწოდება მოწოდებად რჩებოდა, რადგან ბატონები მოჯამაგირეებს ყმებივით მუქთად ვეღარ ამუშავებდნენ, ფული უნდა ეხადათ, ფული კი საქეიფოდაც არ ჰქონდათ, ამიტომ გამოსავალს მამულის გაყიდვაში ხედავდნენ, რითიც გამემამულებული „ჯაყოების“ ხიზნობისა და მოჯამაგირეობისათვის იწირავდნენ თავს.

ამიტომ წყალი არ გაუვა: ქართველთა მცირე ნაწილის უბედურება საქართველოს (უფრო სწორად, ქართლ-კახეთის, რადგან საქართველო აღარ არსებობდა, მაგრამ არსებობდა ბატონყმობა!) რუსეთთან შეერთებით დაიწყო. მეფე ერეკლეს სოლომონ ბრძენისთვის (ლიონიძისთვის) რომ დაეჯერებინა და გეორგიევსკის ტრაქტატი არ დაედო, შესაძლოა, ქართლ-კახეთთან ერთად, აღარც იმერეთ-გურია-სამეგრელო არსებულიყო (ისინი უკვე ირანსა და ოსმალეთს ჰქონდათ ერთმანეთში გაყოფილი), მაგრამ ეგებ ძველი კეთილი „პატრონ-ყმობა“ (ჩვენში ხომ პატრონყმობა იყო და არა ბატონყმობა!) არ გაუქმებულიყო და „პატრონებს“, ყმებთან ერთად, მშობლიურ მამულში, პატრონ-ყმურად ეამათ! „უცხოობაში რაა სიამე“?!

ქართველთა მცირე ნაწილში (დიდ ნაწილზე არაფერს ვამბობ, რადგან მას „პატრონის“ ყმობას უპატრონო მოჯამაგირეობა ურჩევნია) რუსეთისგან თავის დაღწევის სურვილი — გასაგები ყოფილა! მაგრამ რა ვუყოთ ქართველთა მცირე ნაწილში ბოლშევიზმის დამხობის სურვილს?

ბოლშევიკებმა და სტალინმა პირველი, რაც გააკეთეს, აკრძალეს მიწის გაყიდვა და ადამიანის მიერ ადამიანის მოჯამაგირეობა, რითიც გადაარჩინეს საქართველო გაყიდვას, ხოლო ქართველთა მცირე ნაწილი (დიდ ნაწილთან, საერთოდ საბჭოთა ხალხთან, ერთად) — თავიანთსავე გაყიდულ მამულებში ხიზნობასა და მოჯამაგირეობას!

ამაზეა ნათქვამი: „ვაი — სიკეთის მძნელსაო!“

მართალია, მიხეილ ჯავახიშვილმა „ჯაყოს ხიზნები“ 1924 წელს დაწერა, მაგრამ მასში აღწერილი ამბავი ბოლშევიკებამდელ პერიოდს ასახავს, რადგან ბოლშევიკების დროს მიწის გაყიდვასთან ერთად, ადამიანის მიერ ადამიანის მოჯამაგირეობა აკრძალული იყო და, მაშასადამე, „თეიმურაზ ხევისთავის“ პრობლემა ვეღარ იარსებებდა?! ბოლშევიკების დროს ასეთი რამის დაწერა უბრალოდ ღია კარის მტვრევა იქნებოდა!

ბოლშევიკებმა და სტალინმა, ავად გამემამულებულ „ჯაყოებთან“ ერთად, მამულები ჩამოართვეს მამულების ავ შემნახავ ქართველთა მცირე ნაწილსაც („ავი შემნახავი ქურდზე უარესიაო“), ვისაც ჯერ ვერ მოესწრო გაყიდვა და გარდაუვალ გაყიდვაზე ეჭირათ თვალი, და გადასცეს ისინი, მუდმივ მფლობელობაში, **სოფლებს** მოუწყვეს კოლმეურნეობები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, ააყვავეს ქართული სოფელი და აამღერეს ქართველი გლეხი: „სოფელო, ჩემო სოფელო, ლამაზო ჩემო მხარეო, მინდოდა შენთვის მომევლო, მე შენით გავიხარეო“...

> **საქართველოს გაყიდვისგან და, ქართველთა დიდ ნაწილთან ერთად, მცირე ნაწილის მოჯამაგირეობისგან გადარჩენა სტალინმა კოლმეურნეობის გამოგონებით მოახერხა, რომლის იდეა მან ილია ჭავჭავაძის „საერთო ნიადაგის“ თეორიიდან აიღო. კოლმეურნეობამ, თავისი მანქანა-ტრაქტორების სადგურით, სახნავ-სათესით, საძოვრებით, სათიბებით, ტყეებითა და მდინარეებით, მიწა-წყალი შეუნარჩუნა სოფელს, დაამაგრა იქ ადამიანები და გამოკვება არა მარტო სოფლის მოსახლეობა, არამედ ქალაქის მოსახლეობაც.**

მაგრამ მერაბ მამარდაშვილს არ მოსწონდა კოლმეურნეობა, ქართველმა გლეხმა კარგად მოირგოო იგი: „ხომ ცხადია, რომ ქართველი გლეხი... არ არის მაინცდამაინც დაინტერესებული კოლმეურნეობის დაშლით. ასეა, მაგალითად, ლეჩხუმში, რაჭაში. ეს გასაგებია, იმიტომ, რომ გლეხმა, განსაკუთრებით ქართველმა გლეხმა, კარგად მოირგო კოლმეურნეობა და არ არის დარწმუნებული, რომ, როცა კოლმეურნეობა დაიშლება, ის ამით არ დაზარალდება... ჩვენ ისეთ ვითარებაში ვართ, რომ დღევანდელი მოგება ღუპავს საქართველოს, როგორც არალი დაღუპა... კოლმეურნეობის ან საბჭოთა ხელისუფლების მორგება სიკვდილის სხეულია. ეს სხეული სწორედ იმიტომ აიგო, რომ ჩვენ ესენი მოვირგეთ, და პირიქით... ასე მესმის ჩემი თანამემამულე კორუმპირებული ქართველისა, ან გლეხისა, რომელმაც მოირგო კოლმეურნეობა ინდივიდუალური გადარჩენის მიზნით **(საუბარია საბჭოთა ქართველისა და გლეხის „კორუმპირებულობაზე“, რომლის ხსენებაც კი, პოსტსაბჭოთა „ელიტურ“კორუფციასთან შედარებით, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს! - ო. ხ.)**... სტალინი იყო აბსოლუტურად ბნელი ადამიანი...“ („ფილოსოფიის საფუძვლები“, გვ. 20, 24, 37, 61, 77).

კოლმეურნეობა რომ გლეხებისთვის ინდივიდუალური (და, მე ვიტყოდი, კოლექტიურიც, საერთოდ, სოფლისაც, ქალაქისაც და ქვეყნისაც) გადარჩენის საშუალება ყოფილა და გლეხები დაინტერესებული არ იყვნენ მისი დაშლით, ამას თვითონვე აღიარებდა ბატონი მერაბი, თუმცა ვერაფრით ასაბუთებდა, რატომ იყო იგი ცუდი და დასაშლელი, ხოლო მისი შემოქმედი სტალინი — „აბსოლუტურად ბნელი ადამიანი“?!

ღმერთმა შეუნდოს! გარდაცვლილ ადამიანზე ან კარგი უნდა ვთქვათ ან არაფერი! ეს, ცხადია, სტალინსა და ბოლშევიკებს არ ეხებათ!

მერაბ მამარდაშვილმა ეს სიტყვები მაშინ თქვა, როცა საქართველო ჯერ კიდევ დაქცეული არ იყო, ქართველები — ქართველი ქალები, ჯერ კიდევ საქართველოდან გაქცეული არ იყვნენ და იმის ილუზია არსებობდა, რომ საქართველო იმაზე მეტად გაბრწყინდებოდა, ვიდრე გაბრწყინებული იყო. მაგრამ რა უნდა ვთქვათ იმ ცოცხლებზე, რომლებსაც, დღევანდელი გადმოსახედიდანაც, სინდისი და ენა უბრუნდებათ, რომ სტალინის, საბჭოთა კავშირისა და კოლმეურნეობის ლანძღვით იპროფესორონ და იინტელიგენციონ?!

ბატონი **პაატა კოლუაშვილი** და მისი თანამოაზრე პროფესორები სავსებით მართლები ბრძანდებიან, როდესაც მიწათმფლობელობის ქართული წესის მოსპობაში რუსეთის იმპერიისაკენ იშვერენ თითს: „სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ ქართული სამართლის უგულებელყოფა და მიწათმფლობელობის ქართული წესის მოსპობა განაპირობა. რუსეთის იმპერიის პირობებში საფრთხე მთლიანად ქართველთა ეროვნულ იდენტობას დაემუქრა“.

მაგრამ იაღლიშად მოდიან, როდესაც ქართული მიწის საბჭოეთის საერთო-სახალხო საკუთრებად გამოცხადებას საბჭოთა „იმპერიას“ აბრალებენ: „საუბედუროდ, საბჭოთა იმპერიამ ერსაც და ქართულ თემსაც ნიადაგი გამოაცალა, როდესაც კერძო საკუთრებასთან ერთად საერთოდაც მოსპო სათემო საკუთრებაც, ხოლო ქართული მიწა საბჭოეთის საერთო-სახალხო საკუთრებად გამოაცხადა!“ („ქართულ მიწას პატრონი უნდა გამოუჩნდეს! ღია ბარათი საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს“; „სრ“ 02.05.2018).

სინამდვილეში, საბჭოთა კავშირმა (და არა იმპერიამ) მიწაზე კერძო (და არა სათემო) საკუთრება რომ მოსპო, იგი იმ სოფლის თემის საკუთრებად გამოაცხადა, რომელიც ტრადიციულად იმ მიწაზე ცხოვრობდა, და არა საბჭოეთის საერთო-სახალხო საკუთრებად! საბჭოეთიდან კი არა, სოფლიდან სოფელში ვერ გადაეწერებოდი! ამან შეუნარჩუნა სოფელი სოფლელს და სოფლელი სოფელს და საქართველოს!

> **ქართული მიწა, ანუ საქართველო იყიდებოდა საბჭოთა კავშირის დამყარებამდე და იყიდება საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგაც. ამიტომ გაუგებარია, ქართული მიწის „პატრიოტების“ მიერ, მისი უცხოელებზე გაყიდვის გამო წუწუნთან ერთად, საბჭოთა კავშირისა და ბოლშევიკების ლანძღვა-გინებაც! ან მიწის უცხოელებზე გაყიდვის გამო წუწუნს თავი დავანებოთ და — ბოლშევიკები ვლანძღოთ; ან ბოლშევიკები ვლანძღოთ და მიწის უცხოელებზე გაყიდვას შევეგუოთ! თუმცა არსებობს მესამე გზაც: ბატონყმობის აღდგენა, ურომლისოდაც მიწათმფლობელობის ქართული წესის „ახალ ვითარებაში ხორცის შესხმა“ უბრალოდ შეუძლებელია!**

ამიტომ თუ ლანძღვა გვინდა, უპრიანია, იმპერატორი ალექსანდრე მეორე ვლანძღოთ, ბატონყმობა რომ გააუქმა რუსეთში, რამაც ნიადაგი გამოაცალა მიწათმფლობელობის ფეოდალურ წესს, რასაც ღია ბარათის ავტორები „ქართულ წესს“ უწოდებენ. რაც შეეხება ამ წესის „ახალ ვითარებაში ხორცის შესხმის“ თხოვნით პრემირ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილისათვის მიმართვას — ეს ისეთი პარადოქსია, ოლიგარქს ფეოდალიზმის აღდგენა რომ სთხოვო!

ეს რომ ზვიად გამსახურდიასთვის ეთხოვათ, რეალური იქნებოდა, თუმცა ბატონ ზვიადს ამის თხოვნა არც დასჭირდებოდა: საბჭოთა კავშირს იგი იმისთვის ანგრევდა, რომ მიწათმფლობელობის „ქართული წესი“ აღედგინა! საბჭოთა კავშირის თანადამანგრევლები კი ცოცხალი თავით არ დაანებებენ მათ ამას, რამეთუ ეს ნანგრევი მათაც თავიანთთვის სჭირდებათ: ოღონდ არა „ქართული წესის“ აღსადგენად, არამედ ქართული მიწის პირდაპირ გასაყიდად, რადგან მისი დამუშავება მათაც ისევე არ ხელეწიფებათ, როგორც თავის დროზე ქართველთა მცირე ნაწილს არ ხელეწიფებოდა! ამისთვის მოხდა მათ შორის 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის „სამოქალაქო ომიც“! მათი საერთო ნიშანი კი ის არის, რომ, ერთმანეთის სიძულვილთან ერთად, ერთნაირად სძულთ სტალინი და საბჭოთა კავშირი!

ჟან-პოლ სარტრის აზრით, „ადამიანი დასჯილია თავისუფლებით“.

უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა: ადამიანი დასჯილია მონობით და უნდა განთავისუფლდეს მისგან, თუ სურს, რომ ადამიანი გახდეს და დეგენერატად არ იქცეს.

ადამიანიც ცხოველია და, როგორც ცხოველი, ისიც სტომაქის მონაა. მაგრამ ცხოველისათვის სტომაქის მონობა ბუნებრივი მდგომარეობაა; ადამიანი კი, თუ არ განთავისუფლდა სტომაქის მონობისგან, ბუნებრივი ვეღარ ხდება და დეგენერატად იქცევა.

ამიტომ ამბობს ჰეგელი: „როგორც მოაზროვნე, ადამიანი ბუნებრივი არსება აღარაა“.

თავისუფლება, რა თქმა უნდა, აუცილებელი ფაქტორია ადამიანისთვის. ამიტომ ამბობს გრიგოლ რობაქიძეც: „ადამიანი მხოლოდ მაშინ არის ადამიანი, როცა ის თავისუფალია“.

მაგრამ თავისუფლება მზამზარეულად არ ეძლევა ადამიანს, მან უნდა მოიპოვოს იგი, უნდა განთავისუფლდეს სტომაქის მონობისგან და გადეგენერატებას გადაურჩეს.

მერაბ მამარდაშვილის აზრით, „ადამიანის დანიშნულებაა, ადამიანად იქცეს, გახდეს ადამიანი“.

ადამიანი პოტენციაა, რომელიც უნდა განხორციელდეს ადამიანად. ადამიანის ადამიანად განხორციელების საშუალება კი, უპირველეს ყოვლისა, სტომაქის მონობისგან განთავისუფლებაა. და სტომაქის მონობისგან განთავისუფლებაა თავისუფლებაც.

სტომაქის მონობისგან განთავისუფლების მექანიზმი ინტელექტია. ინტელექტუალური ადამიანი თვითონ აკეთებს არჩევანს თავისუფლებასა და მონობას, ანუ ადამიანობასა და დეგენერაციას, შორის: თუ დანიშნულებისამებრ იყენებს ინტელექტს — ადამიანი ხდება; თუ არადანიშნულებისამებრ — დეგენერატი! ინტელექტის დანიშნულებაც იმაში მდგომარეობს, რომ მისი საშუალებით ადამიანმა სწორი არჩევანი გააკეთოს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანმა სტომაქი უნდა ამსახუროს ინტელექტს და არა ინტელექტი — სტომაქს. ამიტომ ამბობს ლათინური ფორმულა: Non vivimus ut edamus7 sed edimus ut vivamus („ვცოცხლობთ არა იმისთვის, რომ ვჭამოთ; არამედ ვჭამთ იმისათვის, რომ ვიცოცხლოთ“).

ომარ ხახაშვილი,
ბელგიიდან სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის“.

2017 წელს საქართველოში წყალ-მომარაგებით საქმიანობას 21 საწარმო ეწეოდა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ატარებს ქვეყანაში არსებული წყალმომმარაგებელი საწარმოების რეგულარულ გამოკვლევას. გამოკვლევა მოიცავს საქართველოში წყალმომარაგებითი საქმიანობით დაკავებულ ყველა მოქმედ საწარმოს, რის საფუძველზეც გროვდება მონაცემები წყალმომარაგების, წყალარინებისა და ჩამდინარე წყლის გაწმენდის შესახებ.

გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ 2017 წელს საქართველოში წყალმომარაგებით საქმიანობას ეწეოდა 21 საწარმო, რომელთა მიერ შინამეურნეობებისთვის მიწოდებული წყლის მოცულობამ 223.4 მილიონი კუბური მეტრი შეადგინა, რაც 7.4 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებული იყო 2.48 მილიონი ადამიანი (66.4 %), რაც 8.1 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

2017 წელს წყალარინების (კანალიზაციის) ქსელზე მიერთებული მოსახლეობის რიცხოვნობა წინა წელთან შედარებით 4.9 პროცენტით გაიზარდა და 1.81 მილიონი (48.6 %) შეადგინა, ხოლო ჩამდინარე წყლის გამწმენდ ნაგებობაზე მიერთებული მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზარდა 8.8 პროცენტით და 1.38 მილიონი (36.9 %) შეადგინა.

საგამოძიებო სამსახურმა იმერეთის რეგიონში ქრთამის აღების ფაქტი გამოავლინა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, იმერეთის რეგიონში, ქრთამის აღების ფაქტი გამოავლინეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო ნარჩენების დაყრის სანაცვლოდ, მეწარმეს ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა 1000 ლარი.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

რა ჯაშუში, რი ჯაშუში!!!

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, გამოცხადებულ შესყიდვებთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ემსახურება. საქმე ეხება ჯაშუშობაში ბრალდებული პეტრე დევრიშაძის კომპანიებს, რომელმაც ბოლო სამი წლის განმავლობაში 4 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების სახელმწიფო ტენდერი მოიგო.

დევრიშაძე რუსეთის ინტერესების სასარგებლოდ ჯაშუშობის გამო იყო გასამართლებული.

თავდაცვის სამინისტრო განმარტავს, რომ შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობა არ იძლევა შესაძლებლობას, რომ სახელმწიფო უწყებამ ტენდერში მონაწილე კომპანიას დაუწესოს რაიმე შეზღუდვა, ან დაინტერესდეს კომპანიის დირექტორის (დამფუძნებლის ნასამართლეობის ან წარსული ცხოვრების) წარსული საქმიანობის შესახებ.

„გარკვეულ მედია საშუალებებში გავრცელებული ინფორმაცია, თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ შესყიდვებთან დაკავშირებით, საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ემსახურება და დაზუსტებას საჭიროებს. შპს „მარგიო“ თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ელექტრონულ, ღია ტენდერებში 2013 წლიდან მონაწილეობს. სატენდერო პროცედურების გამჭვირვალობის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, ღია ელექტრონულ ტენდერში მონაწილე კომპანიების ვინაობა არის ფარული. გამოცხადებულ ღია ტენდერში მონაწილე კომპანიებისა და მისი დამფუძნებლების წარსული საქმიანობის შესახებ ინფორმაციას სახელმწიფო უწყება არ ფლობს. ტენდერში გამარჯვებულის ვინაობა მხოლოდ ელექტრონული ფარული პროცედურების დასრულების შემდეგ ხდება ცნობილი. კანონმდებლობის მიხედვით, ელექტრონულ ღია ტენდერში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა კომპანიას, რომელიც აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნებს. შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობა არ იძლევა შესაძლებლობას, რომ სახელმწიფო უწყებამ ტენდერში მონაწილე კომპანიას დაუწესოს რაიმე შეზღუდვა, ან დაინტერესდეს კომპანიის დირექტორის ნასამართლეობის ან წარსული ცხოვრების/წარსული საქმიანობის შესახებ. აქვე აღვნიშნავთ, რომ შპს „მარგიოს“ არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს უწყების მიერ გამოცხადებულ საიდუმლო შესყიდვებში, ვინაიდან ამ ტიპის შესყიდვების განსახორციელებლად, სახელმწიფო საიდუმლოების მაქსიმალურად დაცვის და უზრუნველყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე, კომპანია უნდა ფლობდეს საიდუმლო დაშვების ნებართვას, სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, რაც შპს „მარგიოს“ არ გააჩნია და შესაბამისად ის ასეთი ტიპის შესყიდვებში მონაწილეობას ვერ მიიღებდა.

რაც შეეხება მტკიცებას იმის შესახებ, რომ შპს „მარგიო“ ახდენს შეიარაღებული ძალების კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვას, სიმართლეს არ შეესაბამება. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ამ კომპანიისგან მოხდა მხოლოდ ერთი კომპიუტერის ვიდეობარათის შესყიდვა, ლევან იზორიას მინისტრად დანიშვნამდე, 2016 წლის 11 აპრილს. ხელშეკრულების ღირებულება იყო 3200 ლარი. აქვე მოგახსენებთ, რომ ნებისმიერი კომპიუტერული ტექნიკა, ექსპლუატაციაში გაშვებამდე და მის შემდეგაც, უსაფრთხოების ზომების მაქსიმალური დაცვის მიზნით, რეგულარულად მოწმდება და კონტროლდება.

აქვე მოგახსენებთ, საინფორმაციო საშუალებებში გაჟღერებულ მეორე კომპანია შპს „გლობალ თრეიდ გუპის“ თავდაცვის სამინისტროს შესყიდვებში მონაწილეობაზეც. აღსანიშნავია, რომ შპს „გლობალ თრეიდ გუპს“ ერთადერთი მიწოდება აქვს განხორციელებული 2017 წლის ნოემბერში, რომელიც 14.981 ლარის ღირებულების, სამედიცინო დანიშნულების ნემსებისშეძენას ეხება.

უწყება ზედმიწევნით იცავს საძართველოში მოქმედ კანონმდებლობას და შესყიდვების კანონმდებლობის ცვლილების შემთხვევაში, ასევე განუხრელად დაიცავს მის მოთხოვნებს“.

ჩინოვნიკები უნდა ჩამობრძანდნენ 100 000-იანი მანქანებიდან!

პრემიერ-მინსტრის მამუკა ბახტაძისთვის **სახელმწიფო სტრუქტურებში ავტოპარკთან დაკავშირებული მიდგომა კატეგორიულად მიუღებელია.** ამიტომ მთავრობა სახელმწიფო ავტოპარკთან დაკავშირებით ახალ რეგულაციას მიიღებს. კვირიკაშვილის მიერ შავ ჯიპებთან დაწყებული ბრძოლა ბახტაძის პერიოდშიც გაგრძელდება.

„შემდეგ მთავრობის სხდომაზე წარმოვადგენ კონცეფციას, რომელიც მხოლოდ ჯიპებს არ შეეხება, ის შეეხება ზოგადად ავტოპარკს, პერსონალურ მანქანებს და, ბუნებრივია, ის სიტუაცია, რაც ამ მხრივ ზოგიერთ სახელმწიფო სტრუქტურაში არსებობს, არის სრულიად მიუღებელი, მე ვიტყოდი კატეგორიულად მიუღებელი. ახალი ინიციატივა უკვე დამუშავებულია, რომელიც განსაკუთრებით ეხება ე.წ. პერსონალურ ავტომობილებს“, — განაცხადა პრემიერმა.

მანამდე კი მამუკა ბახტაძემ სამთავრობო ავტოპარკში შავი ჯიპების ჩანაცვლების თაობაზე ყოფილი პრემიერის გიორგი კვირიკაშვილის ინიციატივა ძალაში დატოვა. ამით გაგრძელდა სახელმწიფო უწყებებში ავტოპარკის ოპტიმიზაციის გადაწყვეტილება.

მინისტრები მალევე გამოეხმაურნენ პრემიერის მკვეთრ პოზიციას. ეკონომიკის მინისტრის მოადგილის **გიორგი ჩიძოვანის** განცხადებით, სამინისტრო კვლავ გეგმავს არსებული მანქანების ელექტროავტომობილებით ჩანაცვლებას, თუმცა როდის მოხდება ეს, ჯერჯეროობით, უცნობია.

ჯანდაცვის მინისტრი **დავით სერგეენკო** კი ამბობს, რომ მის უწყებაში არც ყოფილა ამ მხრივ რაიმე გართულება.

„მეექვსე წელია, რაც მე ჯანდაცვის მინისტრად ვმსახურობ, არც ერთი ავტომობილი არ ყოფილა ამ პერიოდში შეძენილი სამინისტროში სამსახურებრივი მოხმარებისთვის. ამის საპირწონედ კი გეტყვით, რომ შეძენილი იქნა 230 სპეციალური მოხმარების რეანომობილი. 6 წელია გვაქვს ის ავტოპარკი, რაც გვქონდა, არცერთი ავტომობილი არ განახლებულა“, — განაცხადა სერგეენკომ.

თბილისის მერი **კახა კალაძე** კი სამთავრობო უწყებებში ჯიპების ჩანაცვლების თაობაზე პრემიერ მამუკა ბახტაძის ინიციატივას მიესალმება. რაც შეეხება უშუალოდ დედაქალაქის მუნიციპალიტეტს, როგორც კალაძე აცხადებს, დედაქალაქის მთავრობა შავი ჯიპებისგან თავისუფალია.

ბახტაძეს მხარს უჭერენ საპარლამენტო უმრავლეობაშიც. **„ალბათ, მოტოროლერებზე ვერ გადავლენ მინისტრები, მაგრამ გარკვეულწილად, ბუნებრივია, ცოტა უნდა დაზოგონ თანხები და მართლაც არ არის საჭირო — 100 000-ლარიანი მანქანებით სიარული ,** — ასე გამოეხმაურა საპარლამენტო უმრავლესობის წევრი **ნუკრი ძანთარია** პრემიერ-მინისტრის განცხადებას ავტოპარკთან დაკავშირებით.

დანიელ ბექაური

რატომ ზომრავლდნენ არასრულწლოვანი მძარცველები?!

ძვეყანაში **კრიმინალის შემცირებაზე საუბრობენ, თუმცა ფაქტები მის ზრდაზე მეტყველებს. სავაჭრო ქსელებისა და ტექნიკის მაღაზიების ძარცვის ფაქტები ყოველდღე ხდება.**

„საქსტატის“ მონაცემებით, 2015 წელს, დაფიქსირებულია 35 096 სისხლის სამართლის დანაშაული, 2016 წელს — 35 997, ხოლო 2017 წელს სულ რეგისტრირებული იყო 37 944 კრიმინალური ფაქტი.

2018 წლის ქვეყნის კრიმინოგენური მდგომარეობა თვეების მიხედვით ასე გამოიყურება: იანვარში სულ რეგისტრირებულია 4410 დანაშაული, საიდანაც გახსნილია 1302 ფაქტი, ანუ 29,52%; თებერვალი — 4589 ფაქტი, გახსნილია 1142 — 24.89%; მარტი — 5380 ფაქტი, გახსნილია 1448 — 26.91%; აპრილი — 5210 ფაქტი, გახსნილია 1237 — 23.74%;

ყოველთვიურად იზრდება საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების რიცხვი, კერძოდ საუბარია მხოლოდ ქურდობა-ყაჩაღობა-ძარცვის მუხლებზე.

იანვარში დაფიქსირდა სამივე კატეგორიის დანაშაული ჯამში — 1477; თებერვალი — 1554; მარტი — 1679; აპრილი — 1471;

როგორ აისახება გაზრდილი კრიმინალი ბიზნესზე? კერძო სექტორი თავს დაცულად ვერ გრძნობს.

ტექნიკის მაღაზიათა ქსელი „მეგატექნიკა“ არსებობის 22 წლის განმავლობაში პირველად 2018 წლის დასაწყისში გაძარცვეს და, იქიდან მოყოლებული, ბოლო 6 თვეში უკვე მეოთხედ შეიჭრნენ სხვადასხვა ადგილას მდებარე მაღაზიებში. გახშირებულ ძარცვასთან დაკავშირებით კომპანიამ განცხადებაც გაავრცელა:

„კომპანია შეშფოთებულია კრიმინალის დონის ესოდენი მატებით და განსაკუთრებით იმით, რომ ძარცვის ოთხივე შემთხვევა დღემდე გაუხსნელია. პირველი შემთხვევა 2018 წლის 11 იანვარს მოხდა, სამმა არასრულწლოვანმა გაიტაცა 5000 ლარი და 3 ცალი მობილური ტელეფონი. 2018 წლის 13 თებერვალს კი უკვე 7 არასრულწლოვანი დაფიქსირდა ვიდეოჩანაწერზე. ორგანიზებულმა ჯგუფმა „მეგატექნიკის“ მაღაზიიდან 26 მობილური და 1 პლანშეტი გაიტაცა. 2018 წლის 24 თებერვალს უკვე „მეგატექნიკის“ რუსთავის ფილიალი გაძარცვეს და 5 მობილური გაიტაცეს.

ძარცვის მეოთხე შემთხვევა მოხდა 22 ივნისს, დილის 7 საათზე, „მეგატექნიკის“ სათავო ფილიალის კარი აგურით ჩაამტვრიეს და გაიტაცეს 20 მობილური. კარის ჩამტვრევისგან ასევე დაზიანებულია 8 ლეპტოპი. არც ერთი შემთხვევა ამ 4 ძარცვიდან გახსნილი არაა“.

„ბეკოს“ მარკეტინგის მენეჯერი **ხატია ტყებუჩავაც** ადასტურებს, რომ ბოლო 6 თვის განმავლობაში მათი ფილიალები 6-ჯერ დააყაჩაღეს ახალგაზრდებმა.

„გვაქვს ფაქტის ამსახველი კადრებიც. აქედან ერთი შემთხვევა მოხდა ბათუმში, დანარჩენი კი თბილისში. ვიცით, რომ არავინ არ დაუკავებიათ, თუმცა პოლიციას ყველა საჭირო ინფორმაცია სრულად მივაწოდეთ. კრიმინალი არის მკვეთრად გაზრდილი და არ ვიცით, ეს ვითარება როგორ მოვაგვაროთ. ფაქტია, საკუთარი დაცვის სისტემა არ არის საკმარისი და გვაქვს განცდა, თითქოს იმ პერიოდში დავბრუნდით მაღაზიებთან, რკინის ჯებირების დაყენება რომ იყო საჭირო“, — აცხადებს ტყებუჩავა.

„ტექნობუმის“ დამფუძნებელი **ანზორ ძოძოლაძე** ამბობს, რომ ბოლო რამდენიმე თვეში უკვე 4-ჯერ გაძარცვეს.

„ეს ყველაფერი ხდება დღისით, მზისით და ყოველ ჯერზე მძარცველები არიან არასრულწლოვნები. შესაძლოა, მათ უკან დგას ვინმე სხვა პირი, მაგრამ საქმეს აკეთებენ მოზარდები, რომ მერე პოლიციამ ვერ დაიჭიროს. რაც შეეხება ბიზნესს, შეიძლება, დღეს უკიდურესი ვითარება არ არის, მაგრამ არ არის გამორიცხული ბევრად საგანგაშო სიტუაციაში ჩავვარდეთ. ბუნებრივია, ეს ბადებს არასტაბილურობის განცდას კერძო სექტორისთვის“, — განუცხადა „კომერსანტს“ ქოქოლაძემ.

ქვეყანაში კრიმინალის გახშირებულ შემთხვევებს რამდენიმე მიზეზით ხსნის სამართლის სპეციალისტი **მირიან ნიკოლაძე**.

„კრიმინალის მატებას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველი არის ის, რომ სამართალდამცავ სტრუქტურებში თანამდებობებზე მუშაობენ დაბალი კვალიფიკაციის ადამიანები. ისინი ვერ ახერხებენ საქმის გამოძიებას. მეორე პრობლემაა თავად საზოგადოება, სადაც განათლების საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია და თუ ამას სახელმწიფომ არ მიხედა, კიდევ დიდხანს ვიქნებით ამ დღეში.

ცუდ როლს თამაშობს ახალი ლიბერალური კოდექსი, საუბარია არასრულწლოვანთა კოდექსზე. თითო განყოფილებაში ერთ არასრულწლოვანზე შეიძლება 10-მდე საქმე იყოს, თუმცა მათი დაკავების შესაძლებლობას კანონი არ იძლევა. მე არ გამოვრიცხავ, რომ ამ დანაშაულის 80% ჩადენილია სწორედ არასრულწლოვნების მიერ. რა თქმა უნდა, ამ ბავშვებს ანგარიში არ უნდა გავუსწოროთ, მაგრამ რაღაც უნდა შეიცვალოს ამ სისტემაში, რათა მსგავსი ფაქტები აღიკვეთოს“, — აცხადებს ნიკოლაძე.

ბექა დანელია

გზა სამოამავლო – მყარად ნაგები

დიდებული შემოქმედებითი საღამოების ჩატარების, სხვადასხვა სახელოვნებო სფეროს ცნობილ წარმომადგენლებთან ხშირი შეხვედრების, საინტერესო გამოცემათა პრეზენტაციების, უაღრესად მიმზიდველ სამუსიკო საღამოთა და სამხატვრო ვერნისაჟების თბილისურ რუკაზე, კომპანია მაგთიკომის კლუბი რუსთაველის პროსპექტზე დიდი ხანია, ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ ადგილადაა ქცეული.

ბოლო წლებში აქ გამართულ მრავალ ღირსშესანიშნავ ღონისძიებათა უბრალო ჩამონათვალსაც კი, რაღაც ფორმით მაინც ხელოვნების ამა თუ იმ სფეროს რომ უკავშირდება, გაზეთის ლამის მთელი გვერდი არ ეყოფოდა. ამ მხრივ, მარტო იმ დიდებულ თანამედროვე მხატვართა თუ მოქანდაკეთა, არქიტექტორთა თუ მსახიობთა, მუსიკოსთა, მოკლედ, სამამულო ხელოვნებისა და კულტურის ღირსეულ წარმომადგენელთა არასრული ნუსხა ნათლად წარმოაჩენს, თუ როგორ ფასდაუდებელ მამულიშვილურ მოღვაწეობას ეწევა კომპანია მაგთიკომი ეროვნული კულტურის პროპაგანდისთვის, ჩვენი თანამედროვე ხელოვანების ღირსეულ წარმომადგენელთა მხარდასაჭერად. წლების მანძილზე მაგთი კლუბში ეწყობოდა არაჩვეულებრივი სამუსიკო საღამოები, რომელთა მთავარი შემოქმედნი ჩვენი სახელოვანი ცალკეული მომღერლები თუ ერთიანად მთელი კოლექტივები იყვნენ, სახვითი ხელოვნების არაერთი ცნობილი ქართველი ოსტატის, მათ შორის მხატვრების მერაბ აბრამიშვილის, ჯიბსონ ხუნდაძის, დიმიტრი ერისთავის, მოქანდაკე ბიძინა ავალიშვილის, არქიტექტორ გიგა ბათიაშვილის, სხვების შემოქმედებითი გზის ამსახველი წიგნების – რეპროდუქციების ალბომთა პრეზენტაციები, შეხვედრები თეატრისა და კინოს პოპულარულ მსახიობებთან.

მაგთი კლუბს ასევე მრავალჯერ უმასპინძლია ხელოვნების უფრო ახალგაზრდა წარმომადგენელთათვისაც, რომლებმაც დიდი ხანი არ არის, რაც „შვიდფერი მუზის“ ქურუმის სამოსელი მოირგეს და მისი ერთგული მსახურების ურთულეს გზას შეუდგნენ.

ერთი ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედია მხატვარი **ქეთი დავლიანიძე,** რომლის უმშვენიერესი ტილოების გამოფენა მაგთი კლუბში გასულ პარასკევს, 29 ივნისს მოეწყო და დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

ამ უაღრესად ორიგინალური თვალთახედვისა და საშემსრულებლო ხელწერის მქონე ნიჭიერმა მხატვარმა, რომელიც ამჟამად წარმატებულ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა, საზოგადოების სამსჯავროზე ოთხ ათეულამდე ფერწერული ტილო და მცირე ფორმის ნახატი გამოიტანა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქეთი დავლიანიძემ, რომელმაც 1998 წელს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია დაზგური გრაფიკის განხრით დაამთავრა (კინო-ტელევიზიის მხატვრობა), შემდგომ ჩვენი სახელოვანი მხატვრის სერგო ქობულაძის შემოქმედებითი სახელოსნოც გამოიარა. გასაოცარია მისი პროფესიული აქტივობა, რომელიც, როგორც ჩანს, მემკვიდრეობით ერგო: მისი ბაბუა, ცნობილი მოქანდაკე რომან დავლიანიძე, ასევე გამორჩეულად შრომისმოყვარე ნაყოფიერი ხელოვანი გახლდათ. თავად განსაჯეთ, ბატონებო: 1995 წლიდან მოყოლებული, ქეთი დავლიანიძეს მხატვართა თერთმეტ ჯგუფურ გამოფენაში აქვს მონაწილეობა მიღებული, მათ შორის უმეტესობა თბილისში იყო მოწყობილი, თუმცა ბოლო წლებში მისი ნამუშევრები ნატიფ ხელოვნებათა იტალიელმა მოყვარულებმაც გაიცნეს. მაგრამ, როგორც ჩანს, მთავარი მაინც ისაა, რომ ამ ხნის განმავლობაში ქეთი დავლიანიძე რვა პერსონალური გამოფენის ავტორია, მაგთი კლუბში მოწყობილი ვერნისაჟი კი რიგით უკვე მეცხრე გამოდგა.

აქვე არ შემიძლია, არ ვთქვა ქეთი დავლიანიძის მთლიანობაში იმედიანი და ნათელი შემოქმედებისთვის დაკვირვებული თვალისთვის ადვილად შესამჩნევი დაფარული სევდაც, რომელიც მისი პირადი ცხოვრების გარკვეული ტრაგიკული გარემოებებითაა განპირობებული. ერთი იყო უსაყვარლესი უმცროსი ძმის – ირაკლის ავტოსაგზაო შემთხვევაში მოულოდნელი დაღუპვა, მეორე კი მამის, ცნობილი მეცნიერის გია დავლიანიძის გარდაცვალება, რომელიც უკურნებელმა სენმა შეიწირა. არადა, მისი წარმატებებით ორივე ხომ ისევე უზომოდ გაიხარებდა, როგორც ამჟამად მისი დედა, ქალბატონი ლია სულდგმულობს... იქნებ, ამიტომაცაა, რომ ქეთი დავლიანიძის მთელ შემოქმედებას სავსებით მკაფიოდ შესამჩნევი რეფრენი – ჰაერზე მსუბუქი, ისიც დღემოკლე არსებობის სიმბოლო, ნაირ-ნაირი ბაბუაწვერების თითქოს ვირტუალური სამყარო გასდევს: **„თავადაც არ ვიცი, როგორ ხდება, მაგრამ ძალიან ხშირად, როცა რომელიმე ტილოზე ვმუშაობ, ხელი თითქოს ჩემდა უნებლიეთ ბაბუაწვერების ხატვას**



იწყებს“, – სევდიანი ღიმილით ამბობს დინჯი და სანთელივით სუფთა ახალგაზრდა მხატვარი.

ამ გამოფენამ, როგორც აღვნიშნე, დამსწრეთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ამდენად, იმის იმედს, რომ ქეთი დავლიანიძის შემდგომი შემოქმედებითი და პედაგოგიური გზა კვლავაც გამორჩეულად წარმატებული იქნება, მყარი საფუძველი აქვს.

ოთარ ტურაბელიძე

ფოტოებზე: დაუვიწყარი დღე მაგთი კლუბში

ამერიკული დიპლომის მქონე სტაჟიანმა გიჟმა, საქართველოში შემოდგომაზე დავბრუნდებიო!

მიხეილ სააკაშვილი: რაში მჭირდება ამერიკისგან დაცვა? ჩვენი ბედი ჩვენივე ქვეყნებში წყდება...

საქართველოს ექსპრეზიდენტმა და ოდესის ოლქის ექსგუბერნატორმა, ამჟამად ჰოლანდიაში მცხოვრებმა მიხეილ სააკაშვილმა, „რუსული საერთაშორისო ტელევიზიის“ (RTVI) ჟურნალისტებს ეკატერინე კოტრიკაძეს და ვლადიმერ ლენსკის, პროგრამა «эфир»-ის პირდაპირ ეთერში სატელეფონო ინტერვიუ მისცა.

საინფორმაციო-შემეცნებითი პორტალი NSP.GE გვთავაზობს ინტერვიუს შემოკლებულ ვერსიას:

პროგრამის წამყვანი: მიხეილ სააკაშვილი კიდევ ერთხელ გაასამართლეს დაუსწრებლად, ამჯერად უკვე მას თბილისის საქალაქო სასამართლომ ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, პარლამენტის დეპუტატის ვალერი გელაშვილის ცემასთან დაკავშირებით. ამჟამად საქართველოს ექსპრეზიდენტი სამშობლოდან შორს, სავარაუდოდ, ევროპაში იმყოფება...

— და ახლა მიხეილ სააკაშვილი ჩვენ ტელეფონით გვიკავშირდება. გამარჯობა მიხეილ, სად იმყოფებით?

— ახლა ნიდერლანდებში ვარ. საერთოდ კი მთელ მსოფლიოში ვმოგზაურობ, ევროპაშიც.

— როგორ აღიქვით თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ თქვენ მიმართ გამოტანილი ვერდიქტი?

— ყოველი ობიექტური ადამიანი აცნობიერებს, თუ რაშია საქმე. ეს ქართველმა ხალხმაც კარგად იცის. ეს არის „გაზპრომის“ უდიდესი კერძო აქციონერის, ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილის შიშის გამოვლენა. პირველ რიგში, მან კარგად იცის, რომ როგორც კი მე ფეხს დავადგამ თბილისის მიწას, მისი რეჟიმი რამდენიმე დღეში დაემხობა და მეორე — არსებობს ვლადიმერ პუტინის მკაფიო დავალებაც. რუსეთის პრეზიდენტი ისე არაფერს იტყვის, მე რომ არ მახსენოს. მას ჩემი სახელის გამო სიბრაზისგან ტანში ჟრუანტელი უვლის. სწორედ მან გასცა დავალება ჩემი გასამართლების თაობაზე. საერთოდ კი ყველაზე სასაცილო ისაა, რომ მთავარ მოწმედ ნინო ბურჯანაძეა წარმოდგენილი. იგი პროკურორს მოუყვა, რომ თითქოს მე მას საიდუმლო გავანდე რომელიღაც დეპუტატის ცემაზე...

— ჩვენს მაყურებლებს შევახსენებ, რომ ნინო ბურჯანაძე მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ ოპონენტს წარმოადგენს, თანაც უკვე საკმაოდ დიდი ხანია...

— ნინო ბურჯანაძე ჩემი პოლიტიკური ოპონენტი არ არის. ის არის ძალიან დაბალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც არაერთხელ შეხვდა ვლადიმერ პუტინს საქართველოსთან ომის შემდეგ, მასთან ერთად მიიღო სამხედრო აღლუმი მოსკოვში. ნინო ბურჯანაძე არის ის ადამიანი, რომელიც პირდაპირ იღებს ფულს პუტინისგან და ამას არც მალავს. აი, როგორი ადამიანია მთავარი მოწმე. ყველაფერი იოლად გამოსაცნობია...

— მინდა, გკითხოთ საქართველოში თქვენი დაბრუნების თაობაზე. ახლა სოციალურ ქსელებს ვკითხულობ... თბილისელ პოლიტოლოგებსაც ვესაუბრე და ბევრი ამბობს, რომ თქვენ მიმართ გამოტანილი სასამართლოს ვერდიქტის მიზანია ხელი შეგიშალონ და საქართველოში ვერ დაბრუნდეთ...

— რა თქმა უნდა.

— მაგრამ თქვენ მართლაც დაბრუნდებით საქართველოში?

— საქართველოს ხელისუფლება კიევთან ჩემ შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებდა. მე უკვე უკრაინის ხელისუფლების მიერ ვიყავი დაკავებული, როცა პეტრო პოროშენკო მათ ეუბნებოდა — წაიყვანეთ და ქართულ ციხეში ჩასვითო, მაგრამ ივანიშვილი არ დათანხმდა. ბიძინა ივანიშვილს ჩემი ეშინია. როგორი განაჩენიც არ უნდა გამომიტანონ, თბილისში მაინც ჩავალ.

— როდის?

— ალბათ, საპრეზიდენტო არჩევნების დროს, შემოდგომაზე. დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილი ამ არჩევნებს წააგებს. გააყალბებს, მაგრამ არ გაუვა. საბოლოო ჯამში ვერაფერი უშველის.

— ესე იგი, თქვენ საპრეზიდენტო არჩევნების დროს დაბრუნდებით?

— დიახ. სხვათა შორის, მინდა პირველ განაჩენს შევეხო, რომლის შესახებაც დასავლელი ჟურნალისტები რატომღაც წერენ, რომ მიხეილ სააკაშვილი „ბანკირის სანდრო გირგვლიანის მკვლელობის“ გამო გაასამართლესო. მე არანაირი კავშირი არ მაქვს არც მის მკვლელობასთან და არც ცემასთან — ისევე როგორც კენედის, ან ტროცკის ნაჯახით მკვლელობასთან. „ბანკირის მკვლელობის საქმე“ იყო ყოფითი ინციდენტი, რომელიც ახალგაზრდა კაცის მოკვლით დასრულდა...

— დიახ, გასაგებია. დავუბრუნდეთ თქვენი საქართველოში დაბრუნების საკითხს. თქვენ ამბობთ, რომ შემოდგომითო. ვთქვათ, დაგაკავეს. რას გეგმავთ ასეთი შემთხვევისათვის? გაქვთ რაიმე გეგმა საერთოდ?

— მე საქართველოში დავბრუნდები. მათ რომ ჩემი დაჭერა შეძლებოდათ, უკრაინიდან დიდი ხნის წინათ ჩამიყვანდნენ თბილისში. მათ ჩემი დაკავება არ შეუძლიათ, რადგან რეალურად ძალიან დიდი მხარდაჭერა მაქვს. მე საქართველოს თანამედროვე სახელმწიფოს შემქმნელი ვარ. მე შევქმენი ყველაზე წარმატებული სახელმწიფო პოსტსაბჭოთა სივრცეში. მე ის კაცი ვარ, რომელმაც საქართველო მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე გამოაჩინა. ჩემს პრეზიდენტობამდე საქართველო მსოფლიოს რუკაზე საერთოდ არ ჩანდა. მე შევქმენი ყველა თანამედროვე ქართული ინსტიტუტი, მათ შორის სამართალდამცავი სისტემა. სამწუხაროდ, სასამართლო სისტემა ბოლომდე ვერ დავასრულე და იმავე დონეზეა, როგორიც დავტოვე... ამიტომაც ოლიგარქისთვის, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრიობის ნაწილი ვერ გახდა, ციხეში ჩემი ჩამწყვდევა შეუსრულებელ ამოცანას წარმოადგენს.

— ხალხის ქუჩაში გამოყვანა თუ გაქვთ დაგეგმილი? გაქვთ მიტინგების გამართვის ან რევოლუციის გეგმები? ეს ყველაფერი თქვენთვის უკვე ნაცნობია...

— ვთვლი, რომ საქართველოს ახალი რევოლუცია არ სჭირდება. საქართველოს სჭირდება ხელისუფლების ცვლილება საპრეზიდენტო არჩევნების დახმარებით. ან ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებით, პრეზიდენტის არჩევის შემდეგ. დარწმუნებული ვარ, საქართველოში არიან ძალები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, სამოქალაქო საზოგადოება, რომლებიც არ შეურიგდებიან მოსკოვიდან გამოგზავნილ ოლიგარქს. ბიძინა ივანიშვილი საქართველოში არავის არ სჭირდება, მას, ალბათ, სრული საშუალო განათლებაც კი არ აქვს...

— მიხეილ, მიიღებთ მონაწილეობას საქართველოს ან უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში? იქნებით პრეზიდენტობის კანდიდატი?

— არა, მე არც საქართველოს და უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატი არ ვიქნები, მაგრამ ვფიქრობ, რომ საქართველოც და უკრაინაც ოლიგარქებს თავიდან მოიშორებს. ვფიქრობ, რომ ორივე ქვეყნის ოლიგარქებს ჩემი ძალიან ეშინიათ — მე ხომ არ ვიყიდები, მათ წინაშე კაპიტულაციას არ ვაცხადებ და მათ ყოველთვის შევუტევ, რადგან საქართველოც და უკრაინაც ძალიან მიყვარს. მჯერა, რომ ორივეს წინ დიდებული მომავალი აქვთ.

— მიხეილ, ერთი მცირე პატარა კითხვა მაქვს. თქვენ საკმაო დრო გაქვთ გატარებული აშშ-ში, გარკვეული დროის განმავლობაში ბრუკლინშიც ცხოვრობდით. ამერიკის დახმარების იმედი თუ გაქვთ? ან იმის იმედი, რომ ამერიკა დაგიცავთ საქართველოში ჩასვლისას?

— რას ნიშნავს „ამერიკა თუ დაგიცავთ“? რაში მჭირდება ამერიკისგან დაცვა? მე ძალიან ბევრი მეგობარი მყავს შეერთებულ შტატებშიც და ევროპაშიც. ის, რომ მე არანაირი პრობლემა არ მაქვს გადაადგილებასთან დაკავშირებით, ვიზის მიღებასთან დაკავშირებით, შეხვედრების გამართვაში, ეს განა არაფერს არ გეუბნებათ? ეს იმას ნიშნავს, რომ არავინ სერიოზულად არ აღიქვამს ჩემ წინააღმდეგ მიმართულ ბრალდებებს. რასაკვირველია, ჩემს მეგობრებთან ურთიერთობა მაქვს, მაგრამ ჩვენი ბედი ჩვენივე ქვეყნებში წყდება...

— მიხეილ, მე უფრო კონკრეტულ კითხვას დაგისვამთ. იმ დროს, როცა მე და თქვენ საქართველოში ვცხოვრობდით, საქართველოს დონალდ ტრამპი ეწვია, მას ესაუბრეთ, დაიგეგმა ერთობლივი პროექტების განხორციელება. მაგალითად, ბათუმში „ტრამპ-თაუერი“ უნდა აშენებულიყო. შემდეგ თქვენ ვაშინგტონშიც იყავით, პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ინაუგურაციაზე... ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თქვენ ტრამპთან კარგი ურთიერთობა გაქვთ. იქნებ ამ გარემოებამ როგორღაც შეცვალოს თქვენი მდგომარეობა უკრაინაში?

— მე, უბრალოდ, დონალდ ტრამპთან კონტაქტის შესაძლებლობა არ მქონია მას შემდეგ, რაც პრეზიდენტად აირჩიეს. რასაკვირველია, მას მანამდეც კარგად ვიცნობდი... და მას არცერთი უცხოელი ლიდერი არასდროს ისე არ შეუქია, როგორც მე.

— ალბათ, მხოლოდ ვლადიმერ პუტინი...

— არა, ეს სრულიად სხვადასხვა მომენტია. ვფიქრობ, რომ ჩვენ გვქონდა... თუმცა ეს ყველაფერი YouTube-შიც დევს, შეიძლება მისი ნახვა.. ცხადია, საუკეთესო ურთიერთობა გვქონდა. მას კარგად ესმოდა ქართული რეფორმების მნიშვნელობა და ახლაც ესმის. რაც შეეხება უკრაინას... ხომ ნახეთ, რა თქვა უკრაინაზე „დიდი შვიდეულის“ სამიტის დროს? ყველაზე კორუმპირებული სახელმწიფოა მსოფლიოშიო... ეს სრული სიმართლეა.

— ეს ინფორმაცია მან თქვენგან მიიღო?

— ეს ინფორმაცია „დიდი შვიდეულის“ სამიტზე გავრცელდა. უკრაინაში ამერიკულ ფინანსურ დახმარებას იპარავენ და ვფიქრობ, მოვა დრო, როცა აშშ-ის ფედერალური საგამოძიებო უწყება ამ საქმეს გამოიძიებს და, შესაბამისად, პოროშენკოები, ახმეტოვები და ყველა დონის კორუფციონერები დაისჯებიან. არ მინდა ამ საკითხით სპეკულირება, მაგრამ თუ რამე გამეგება კორუფციაში, მე, ამერიკული დიპლომის მქონე იურისტს, ვამბობ, რომ საქმე საბოლოოდ ასე დასრულდება. პეტრო პოროშენკოს ისტერიულად ეშინია, მაგრამ სასამართლოს ვერსად წაუვა...

„RTVI“ (რუსეთი)

მარგველაშვილი არის აბსოლუტური ლაჩარი!.. დამიბრუნოს საქართველოს მოქალაქეობა!

მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტს მიმართავს და მოქალაქეობის დაბრუნებას ითხოვს. განცხადება საქართველოს მესამე პრეზიდენტმა გადაცემა „კვირის აქცენტებში“ გააკეთა.

„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა იმ დარღვევებზე ისაუბრა, რომელიც მისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის პროცესში დაფიქსირდა.

„მარგველაშვილი არის აბსოლუტური ლაჩარი, იმიტომ, რომ ჯერ ჩამომართვა მოქალაქეობა. თუ ელემენტარული ვაჟკაცობა აქვს, თუ ელემენტარული რაღაც მაინც აქვს გატოკებული, დამიბრუნოს საქართველოს მოქალაქეობა. მათ მომისაჯეს სასჯელები, მათ ამიკრძალეს პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობა.

ჩემს და ქართველ ხალხს შორის ვერ იქნება ვერც ივანიშვილის ფილტრი, ვერც წულუკიანის ფილტრი, ვერც არასამთავრობოების ფილტრი. გაიწიონ ყველა. არაფერი არ მაქვს ცარიელი ხელების და ჩემი რეპუტაციის გარდა. შემომიშვით საქართველოში და განახებთ ვისი ეშინიათ და ვისით დააშინებენ ხალხს“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

თბილისის მსგავს ქალაქს მსოფლიოში ვერსად ნახავთ

რაბომ უნდა იყოს საქართველო იმ ქვეყნების სიაში, სადაც სამოგზაუროდ წასვლას აპირებთ

„როცა მეგობრებს გავანდე, ჩემი დიდი ხნის ოცნება უნდა ავისრულო, საქართველოში („ჯორჯიაში“) წასვლას ვაპირებ-მეთქი, მრავალი კითხვა და რჩევა მომაყარეს. ზოგიერთი ფიქრობდა, რომ მე ამერიკის შტატს ვგულისხმობდი. რამდენიმე მიხვდა, სადაც მივდიოდი და მკითხეს, უსაფრთხოება როგორიაო. ვუთხარი, რომ ყველაფერი მაღალ დონეზეა-მეთქი. სხვებმა გაიხსენეს, თუ როგორი სიამოვნება მიიღეს საქართველოში ყოფნით. ერთ-ერთმა კი რამდენიმე სასარგებლო რჩევა მომცა ბარგთან დაკავშირებით: უფრო მეტად წაიღეთ თავისუფალი ტანსაცმელი ელასტიკური სარტყელითო.

საქართველოში, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში, რომელიც ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე მდებარეობს, საუკეთესო და გემრიელი კერძებია. ქართული სუფრა საჭმელების საოცარი სიუხვით გამოირჩევა. თვითონ სიტყვა „სუფრას“ საზეიმო დატვირთვა აქვს. ეს ხუმრობა არაა. საქართველოში არსებობს გამოთქმა – „სტუმარი ღვთისაა“. ეს ნიშნავს, რომ ქართველები სტუმართმოყვარე ხალხია და სტუმრისადმი პატივისცემა მისთვის გემრიელი საჭმლის მომზადებაშიც გამოიხატება. ზოგიერთ რესტორანში ისეთ სუფრას გაგიშლიან, რომ დიდ მაგიდაზე ადგილი არ რჩება და ახალი კერძებით სავსე თეფშებს ერთმანეთზე დებენ.

საქართველოში ჩემი 9-დღიანი მოგზაურობის დროს არცერთი უგემოვნო საჭმელი არ შემხვედრია, მაგრამ ყველაზე დასამახსოვრებელი მაინც სიღნაღში, რესტორან „ხოხბის ცრემლებში“ გაშლილი სუფრა იყო, ქართული პოლიფონიური სიმღერის თანხლებით. სხვათა შორის, სიღნაღს „ღვინისა და სიყვარულის ქალაქს“ უწოდებენ – აქ დღე-ღამის ყოველ მომენტში შეიძლება სამოქალაქო ქორწინების რეგისტრირება.

მე და ჩემს მეგობრებს ასეთ ეპითეტზე გვეღიმებოდა, რადგან „ღვინო და სიყვარულის“ ადგილად არა მარტო სიღნაღი, არამედ მთელი საქართველო შეიძლება ჩაითვალოს. ამას ისიც მოწმობს, რომ სტუმრები საქართველოს ყველა კუთხეში უყვართ და დიდ პატივს სცემენ, ხოლო ღვინისა და მევენახეობის სამშობლო რომ მართლაც საქართველოა, ეს მეცნიერებმაც დაადასტურეს: ამ ქვეყანაში წარმოებული გათხრებისას ქვევრებში (თიხის დიდ ჭურჭლებში) 7000-წლოვანი ღვინის კვალი აღმოაჩინეს. საქართველოში 500 ჯიშის ვაზი ხარობს.

რა თქმა უნდა, ღვინო და სამზარეულო საქართველოს ღირსშესანიშნაობებია, რის გამოც ამ ქვეყანაში უამრავი ტურისტი ჩადის, მაგრამ არა მთავარი. კავკასიური ქვეყანა სტუმარს აოცებს თოვლიან-ყინულიანი მაღალი მთებით, ლამაზი ბუნებით, სოფლებითა და ქალაქებით, უძველესი ეკლესია-ტაძრებით. საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი სახელმწიფოა, რომელმაც ქრისტიანობა უძველეს დროში – 337 წელს მიიღო. აქ არის თერმული და მინერალური წყლები, მაგალითად, ბორჯომში.

თბილისი, საქართველოს დედაქალაქი, რომელიც მტრებმა 27-ჯერ დაანგრიეს და გაძარცვეს, დღეს ერთგვარ კოსმოპოლიტურ ქალაქს წარმოადგენს თავისი თანამედროვე არქიტექტურით, რომელშიც ისტორიული შენობებია შერეული. თბილისის მსგავს ქალაქს მსოფლიოში ვერსად ნახავთ.

მშრალ ხიდთან მდებარე ძველმანების ბაზარში შეიძლება როგორც აირწინაღის, ასევე სხვა საბჭოური სამხედრო ატრიბუტიკის ყიდვაც. აქ უამრავ ისტორიულ ნივთს ნახავთ. იქიდან შეგიძლიათ „პლეხანოვის უბანშიც“ გაისეირნოთ, დაათვალიეროთ აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ძველებური შენობები და საბჭოთა სამკერვალო ფაბრიკის თანამედროვე სტილით რესტავრირებულ კორპუსში განლაგებული კაფე-ბარები და მაღაზიები.

რაც შეეხება სასტუმროებს: გაგიკვირდებათ, რომ ყოფილი საბჭოთა სკოლა ხუთვარსკვლავიან სასტუმროდაა გადაკეთებული (Ambassadori), ხოლო მე პირადად კინაღამ წავიქეცი გაკვირვებისაგან, როცა სასტუმრო Stamba („სტამბა“) ვნახე – 1930-იან წლებში აგებული გაზეთების გამომცემლობა, სადაც ხუთსართულიანი შენობის ახალი დიზაინით გადაკეთებულ გიგანტურ ვესტიბიულში ჯერ კიდევ დგას ორიგინალური საბეჭდი დაზგები. საქართველოში ასევე საინტერესოა სასტუმროები Rooms და Kazbegi, საიდანაც მთიანი ლამაზი პეიზაჟით დატკბებით.

ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა იცოდეთ, სად უნდა გამოიძინოთ ამდენი სუფრის გამოცვლის შემდეგ?

«FORBES» **(აშშ)**

კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი 2018 წლის 3 აგვისტოდან აცხადებს კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

– ბიოლოგია: 1 პროფესორი;

– ონკოლოგია: 1 პროფესორი;

– თვალის სნეულებანი: 1 ასოცირებული პროფესორი;

– ორთოპედიული სტომატოლოგია: 2 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი;

– თერაპიული სტომატოლოგია: 1 ასისტენტ-პროფესორი;

– შინაგანი დაავადებები: 1 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი;

– თერაპიული სტომატოლოგია: 2 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი;

– მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია: 1 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ-პროფესორი;

– ადამიანის ნორმალური ანატომია: 1 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ-პროფესორი;

– ტოპოგრაფიული ანატომია ოპერაციული ქირურგიის საფუძვლებით: 1 ასოცირებული პროფესორი; 1 ასისტენტ-პროფესორი;

– სისხლის სამართლის პროცესი: 1 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი;

– სისხლის სამართალი: 1 პროფესორი;

– საერთაშორისო სისხლის სამართალი: 1 პროფესორი;

– სამართლის ისტორია: 1 ასოცირებული პროფესორი;

– სამოქალაქო საპროცესო სამართალი: 1 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი;

– ჟურნალისტიკა: 2 ასოცირებული პროფესორი;

– ინგლისური ფილოლოგია: 2 ასოცირებული პროფესორი;

– მარკეტინგი: 2 ასოცირებული პროფესორი;

– ტურიზმი: 1 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი; 2 ასისტენტი;

– ეკონომიკა: 1 ასისტენტ-პროფესორი, 1 ასისტენტი;

– ინფორმატიკა: 1 ასოცირებული პროფესორი.

ინფორმაცია კონკურსში მონაწილე კანდიდატთათვის:

– პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.

– ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

– ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

– ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი.

აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია, წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) განცხადება;
- ბ) ანკეტა;
- გ) პირადობის მოწმობის ასლი;
- დ) ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია;
- ე) უმაღლესი განათლების და დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების და დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტები. უცხოეთში მიღებული განათლების/კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თან უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი;
- ვ) 2 ფოტოსურათი 3x4-ზე;

კონკურსში მონაწილეთა მიერ დოკუმენტაციის წარმოდგენა და მათი რეგისტრაცია იწარმოებს 2018 წლის 3 აგვისტოდან - 2018 წლის 17 აგვისტოს **ჩათვლით უნივერსიტეტის კანცელარიაში (10.00 სთ-დან 17 სთ-მდე,** ვაკე, ი.ჭავჭავაძის გამზირი №25).

კონკურსის შედეგები გამოცხადდება არაუგვიანეს 2018 წლის 31 აგვისტოს.

კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსებულია საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ვებგვერდზე **www.sdasu.edu.ge**.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით – ტელ.: (995 32) 2 253 677.

ნიჩბოსნობა

დუშელის ევროპული „ვერცხლი“

ორი ქართველი კანოისტი მონაწილეობდა იტალიაში გამართულ 23-წლამდელ ნიჩბოსანთა ევროპის ჩემპიონატში. თავი გამოიჩინა დუშელმა მარიამ ქერდიკაშვილმა, რომელმაც 500 მეტრიან დისტანციაზე მეორე ადგილი დაიკავა: 19 წლის სპორტსმენმა 3-4 წლით უფროსებთან პაექრობაში საკვალიფიკაციო გაცურვისას ეს დისტანცია 2 წუთსა და 18.577 წამში დაფარა და მეორე ადგილით პირდაპირ A ფინალში მოხვდა. წინასწარ ეტაპზე ჩვენებურს რუსმა ძსენია კურაჩმა (2.14.654) გაუსწრო. 2.20.223-ით მესამე იყო ეუენ დორანჟე (საფრანგეთი).

ფინალში თავიდანვე ლიდერობა ხელთ იგდო უკრაინელმა ლუდმილა ლუზანმა (2.13.619), რომელმაც ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა და ჩემპიონობა მოიპოვა. მეორე ადგილზე იყო რუსი კურაჩი, მაგრამ ფინიშამდე რამდენიმე მეტრით ადრე მას ნავი გადაუბრუნდა. ვერცხლის მედალი და ვიცე-ჩემპიონობა მარიამ ქერდიკაშვილმა დაიმსახურა — იგი გამარჯვებულს 2.850 წამით ჩამორჩა. ბრინჯაოს მედალი ფრანგ დორანჟეს (2.17.135) ხვდა.

აპენინებზე 23-წლამდელ ვაჟთა ტურნირში ძალებს ცდიდა ფოთელი მურმან მალანია. 200 მეტრზე საკვალიფიკაციო გაცურვისას იგი (41.327) მეოთხე იყო, მერე ნახევარფინალში მედლებისთვის პაექრობის უფლება მოიპოვა, A ფინალში, სამწუხაროდ, საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინა და მე-9 ადგილს (43.186) დასჯერდა.

გივი გაგუა

ჭიუდო

ჭაბუკთა ხუთი ჯილდო

სარაევოში დასრულებულ ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატში საქართველოს წარმომადგენლებმა ხუთი მედალი მოიპოვეს — ერთი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოსი. ტურნირის სტარტზე მესამე პრიზიორი გახდა ლუკა კაპანაძე (66 კგ). დასკვნით დღეს ერთბაშად ოთხი ჩვენებური ავიდა კვარცხლბეკზე, მაგრამ უმაღლეს საფეხურს ვერავინ უწია: 90 კილოში ნიკა ხარაზიშვილმა ნახევარფინალში თანაგუნდელ ილია სულამანიძეს აჯობა, გადამწყვეტი პაექრობა კი რუსეთის წარმომადგენელ მატვეი კანიკოვსკისთან დამატებით დროში იპონით წააგო და მეორე ადგილს დასჯერდა. ბრინჯაოს მედლები გიორგი შერაზადიშვილმა (81 კგ), ილია სულამანიძემ (90 კგ) და მძიმე წონაში საბა ინანეიშვილმა დაიმსახურეს.

ლეძსო ცინცაძე

ჭადრაკი

საივლისო რეიტინგით

ფიდემ საივლისოდ მოჭადრაკეთა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა. ქალთა კლასიფიკაციას უწინდებურად მეწინავეობს ჩინელი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ჰოუ იფანი (2658). მეორე ადგილზეა მისი თანამემამულე, მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი ცზიუ ვენცზიუნი (2568). პირველ ათეულში შემდეგ მოდიან — ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2564), კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2556), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2552), ვალენტინა გუნინა (რუსეთი, 2527), თან ჩჟუნი (ჩინეთი, 2524), მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2521), ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2519), ალექსანდრა გორიაჩკინა (რუსეთი, 2509)... 12. ნინო ბაციაშვილი (2492), 20. ლელა ჯავახიშვილი (2475), 25. ბელა ხოტენაშვილი (2462), 62. მერი არაბიძე (2397), 67. სალომე მელია (2392), 77. სოფიკო გურამიშვილი (2378).

ვაჟთა პირველი ათეული ასეთია: მსოფლიოს ჩემპიონი მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2842), ფაბიანო კარუანა (აშშ, 2822), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2801), დინ ლიჟენი (ჩინეთი, 2797), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2792), ანიშ გირი (ჰოლანდია, 2782), ვესლი სო (აშშ, 2780), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი, 2779), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2777), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2773). ვაჟთა პირველ ასეულში ქართველთაგან არავინაა.

თამაზ პატარიძე

რუსეთი-2018

ვაი, ასეთ მუნდიალსა

თითქოს იტალიისა და ჰოლანდიის არყოფნა არ კმაროდა, მსოფლიოს 21-ე ჩემპიონატს გერმანია, ესპანეთი, მესი და რონალდუც გამოეთიშნენ. მოგეხსენებათ, სენსაცია სპორტის მუდმივი თანამგზავრია, მაგრამ ერთბაშად ამდენი ფავორიტის ასეთი ნაადრევი ჩაფლავება მაინც განსაკუთრებულად უნდა შეფასდეს. მაინც, როგორ მოხდა ეს? ბუნდესნაკრების საქმენი საგმირონი უკვე გაგაცანით, დანარჩენებს კი ახლა ვუძღვნათ საკადრისი სტრიქონები.

რუსეთი-ესპანეთი 1:1 (პენალტებით 4:3)

საკუთარი კედლების ფაქტორი დიახაც გასათვალისწინებელია. საილუსტრაციოდ კორეა-იაპონიის სტადიონებზე 2002 წელს გამაპრთულ მუნდიალზე განვითარებული მოვლენების გახსენებაც კმარა, სადაც, სხვათა შორის, მასპინძელთა მიმართ კეთილგანწყობას ევროპული გრანდები — ესპანეთი (მაშინაც) და „სკუადრა აძურა“ შეეწირნენ, მაგრამ მოსკოვის „ლუჟნიკებში“ მომხდარს მაინც სხვა სურნელი ასდის.

რასაკვირველია, არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ უეფას პრეზიდენტ ჯანი ინფანტინოს აქეთ-იქით მოკეკლუცე პირენეელი მონარქისა და რუსეთის პრემიერის (მეუღლითურთ) შემხედვარე, კაცი უნებლიედ იფიქრებდი, რამდენად იცავენ პლეი-ოფის მონაწილენი ფეირ-პლეის პრინციპებსო.

აღნიშნულ ეჭვს თვით მატჩის პერიპეტიებიც აძლიერებდა — მას შემდეგ, რაც იგნაშევიჩის ავტოგოლით სტუმრები მოულოდნელად შეხვედრის დასაწყისშივე დაწინაურდნენ, ისინი ბურთის გაუთავებლად გორებაზე გადავიდნენ და თავმოყვარეობასთან ერთად, ფეხბურთის ჭეშმარიტ მოყვარულთა მრავალმილიონიანი არმიაც ფეხებზე დაიკიდეს. საკითხავია, რას შეპირდნენ ასეთს?

საფრანგეთი — არგენტინა 4:3

კი ვაკრიტიკებდით მთელი ტურნირის განმავლობაში ექსცენტრიკული ხორხე სამპაოლის დამოძღვრილ გუნდს, მაგრამ მის ასეთ თავგანწირვას ბრწყინვალე საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ გაჩაღებულ უთანასწორო ბრძოლაში ძნელად თუ წარმოვიდგენდით. მეტიც, თვით მესიმ, პარტნიორთა აბდაუბდა ბორიალის ფონზე მთელი ფორუმი რომ ჩააგდო, ამჯერად ორი შედეგიანი გადაცემა შეასრულა, თუმცა, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა რეაქტიული სისწრაფით დაჯილდოებული ყმაწვილი ტალანტის კილიან მბაპესა და კამპანიის დასაჩოქებლად.

ურუგვაი — პორტუგალია 2:1

სამხრეთამერიკელებმა ჯგუფური რაუნდი „მშრალად“ დაასრულეს, მაგრამ, ეტყობა, კრიშტიანუს ფაქტორის გათვალისწინებით, ამ წყვილში ბევრი უპირატესობას რატომღაც ევროპის მოქმედ ჩემპიონებს ანიჭებდა.

მართალია, მუსლერას კარის დალაშქვრა პეპემ მოახერხა, მაგრამ ურუგვაელებმა გოდინის თამადობით წარმატებით გადაჭრეს რონალდუს პრობლემა, რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა კიდეც მერვედფინალის ბედი.

ხორვატეთი — დანია 1:1 (პენალტებით 3:2)

გუშინ: ბრაზილია — მექსიკა **2:0.**

გიორგი შოთაძე

კალათბურთი

ნეტარ არიან მორწმუნენი!

საკუთარი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს დიახაც უნდა უქომაგო, მაგრამ ამან ობიექტურობის შეგრძნება არ უნდა დაგიკარგოს.

მსოფლიოს 2019 წლის საკალათბურთო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მეხუთე ტურის შეხვედრაზე მოგახსენებთ, რომელიც თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა.

საქართველო — სერბეთი 50:87

მატჩის წინ ბევრი ამტკიცებდა, სტუმრებს ნბა-ს ვარსკვლავები აკლიათ და მათთან, წესით და რიგით, რევანში უნდა ავიღოთო, მაგრამ ისინი რატომღაც ანგარიშს არ უწევდნენ იმ ფაქტს, რომ ალექსანდრ ჯორჯევიჩის განკარგულებაში ევროლიგაში გამორჩეულ კვალიფიციურ შემსრულებელთა მთელი ბუკეტი ირიცხება. ამასთანავე, ბალკანელებს ამოცანა საგრძნობლად გაუადვილა მასპინძელთა კაპიტან მანუჩარ მარკოიშვილის ძველი ტრავმის გამიზეზებამ, რამაც „ჯვაროსანთა“ დაცვა ღია კარს დაამსგავსა, სადაც დაუბრკოლებლად დანავარდობდნენ მილოსლავლევიჩი, მილუტინოვი და ძმანი მათნი.

იქნებ, აწი მაინც ვისწავლოთ ჭკუა და, უსაფუძვლო ოპტიმიზმს ვინღა ჩივის, დედაქალაქის მთავარ დახურულ სარბიელზე ნორმალური ტაბლო დავამონტაჟოთ, თავს რომ არ მოგვჭრის მთელ დუნიაზე.

დიახ, საქართველო-სერბეთის შეხვედრის პირველ ტაიმში აღნიშნული მიზეზის გამო თამაში რამდენჯერმე შეწყდა, ვიპ-ლოჟაში შეკრებილი ძლიერნი ამა ქვეყნისანი კი, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, მობილურებში თავჩარგულნი, ოლიმპიურ სიმშვიდეს ინარჩუნებდნენ და ნერვიც კი არ შეტოკებიათ.

დავიჯეროთ, ეს საკითხი მათ არ უნდა აღელვებდეთ?

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ეს საინტერესოა

მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში:

მრავალეთნიკური ნაკრები გუნდები

მსოფლიო **საფეხბურთო ჩემპიონატზე რუსეთში ჩასულ ნაკრებებს შორის ბევრი გუნდია მრავალეთნიკური, რასაც ვერ იტყვით საკუთრივ რუსეთის, თავისთავად მრავალეროვნული ფედერაციის, ეროვნულ გუნდზე. ამ მხრივ რუსეთს ემსგავსება იაპონიისა და სამხრეთ კორეის გუნდებიც.**

გამოყოფენ ხოლმე შვეიცარიის ნაკრებს. კონფედერაციის ნაკრების 23 მოთამაშიდან 14 ან შვეიცარიის გარეთ არის დაბადებული, ან ემიგრანტთა შვილებს, მეორე თაობას წარმოადგენს.

შვეიცარიელებს არც საფრანგეთის ნაკრები ჩამოუვარდება. მის შემადგენლობაში სამი მეოთხედი სხვადასხვა თემის წარმომადგენლები, ემიგრანტების შვილები არიან. ბელგიის ნაკრებში 11 ასეთი ფეხბურთელია, ინგლისის გუნდში — 10, ხოლო გერმანიის ეროვნულ ნაკრებში — ექვსი.

რუსეთის ნაკრები ამ მხრივ განსაკუთრებულია. მიუხედავად იმისა, რომ მილიონობით ემიგრანტი ცხოვრობს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, რუსეთის გუნდში ერთიორი ფეხბურთელი თამაშობს საკუთრივ რუსეთის შემადგენლობაში მყოფი ავტონომიური რეგიონიდან, ჩრდილოეთ ოსეთიდან. ნატურალიზებული ბრაზილიელის, მარიო ფერნანდესის გარდა, თუ არ ჩავთვლით ბელარუსი და უკრაინელი მშობლების, საბჭოთა პერიოდში რუსეთში ჩასახლებული პირების შთამომავლებს, 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნის გუნდში არ არიან არარუსი ფეხბურთელები.

სლავა მალამუდმა, „სოვეტსკი სპორტის“ კორესპონდენტმა, რომელიც აშშ-ში მუშაობს, გვითხრა, რომ რუსეთი ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან ჩასული პირებისთვის ვერ ქმნის ინტეგრაციის პირობებს, ამიტომ არაა გასაკვირი, რომ რუსეთის ეროვნული გუნდი, ევროპის ქვეყნების ნაკრებებისგან განსხვავებით, მულტიეთნიკურობით არ გამოირჩევა.

იგი იხსენებს, რომ ნიგერიელი ემიგრანტების რუსეთში დაბადებულ და გაზრდილ შვილს, პეტერ ოდემვინგის, უარი უთხრეს რუსეთის ნაკრების წევრობაზე. რუსეთში მცხოვრები ემიგრანტები, მისი განმარტებით, მძიმე პირობებში ცხოვრობენ, მუშაობენ დაბალანაზღაურებად მშენებლობებზე და ეკონომიკური ზღუდეები არ აძლევთ მათ სპორტში ჩართვის შესაძლებლობას. მალამუდის თქმით, მათ საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად არ მიიჩნევენ.

ჩვენი კოლეგა თვლის, რომ რუსეთის ნაკრებში უმცირესობების არყოფნა შეიძლება რასიზმითაც აიხსნებოდეს. საფრანგეთის, გერმანიისა თუ ინგლისის ნაკრებ გუნდებში უცხოელების ყოფნას ბევრი რუსი ამ საზოგადოებების სისუსტედ, ტრადიციული კულტურის ეროზიად მიიჩნევს. რუსები თვლიან, რომ ევროპა ბარბაროსების შემოსევის მსხვერპლია, ეს ქვეყნის ოფიციალური იდეოლოგიის ნაწილიც კი არის, ამბობს მალამუდი და სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის“ მაგალითი მოჰყავს. მისი თქმით, „ზენიტი“ არაოფიციალურ პოლიტიკას მისდევს, რომ არ მოაწეროს ხელი ხელშეკრულებას შავკანიან ფეხბურთელებთან, რადგან გულშემატკივრები მკაცრად ეწინააღმდეგებიან ამას. წელს უეფამ დააჯარიმა კიდეც „ზენიტი“ იმის გამო, რომ მისი გულშემატკივრები რასისტურ ლოზუნგებს გაიძახოდნენ „ლაიფციგის“ წინააღმდეგ თამაშის დროს, თანაც ასრულებდნენ სიმღერას „მოკალი შავკანიანები“.

რუსეთის გუნდის მსგავსად, ეთნიკურად ერთფეროვანი არიან იაპონიის, ირანისა და სამხრეთ კორეის გუნდები, ასევე სერბეთისა და ხორვატეთის ნაკრებებსაც არ ჰყავთ უცხოელი ფეხბურთელები. შვეიცარიის გუნდში საუკეთესო ფეხბურთელები ჯერდან შაჩირი და გრანიტ ჯაკა ეთნიკური ალბანელები არიან სერბეთის ყოფილ ოლქ კოსოვოდან. მათ სერბეთთან თამაშში გოლები გაიტანეს და თავიანთ გუნდს მოაგებინეს. რეზონანსი გამოიწვია ფაქტმა, რომ ორივემ გოლის შემდეგ ხელებით გამოსახა „ორთავიანი არწივი“, ალბანეთის დროშაზე გამოხატული სიმბოლო. მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარიაში მცხოვრებთა 25% არაა ამ ქვეყანაში დაბადებული, ყველა შვეიცარიელი არ არის ბედნიერი მულტიკულტურული გუნდით და ზოგიერთი ექსტრემისტი თვლის, რომ ისინი არ არიან საკმარისად შვეიცარიელები.

შვეიცარიის მემარჯვენე სახალხო პარტიის წევრი როგერ კიოპელი მათ უწოდებს „სეზონურად დაქირავებულ გამოცდილ რაზმებს ბალკანური აქცენტით“. იგი აფრიკელ ფეხბურთელთა მიმართ ასევე დამამცირებელ ტერმინს იყენებს. სახალხო პარტიას მანდატების უმრავლესობა აქვს შვეიცარიის პარლამენტში. ამავე პარტიის სხვა წევრი ნატალი რიკლი თვლის, რომ კოსოვოელთა მიერ გატანილი გოლები არ ეკუთვნოდა შვეიცარიას, ისინი კოსოვოსთვის შეაგდეს.

შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგნასიო კასისმა, რომელმაც ახლახან თქვა უარი იტალიის მოქალაქეობაზე, დაიცვა ფეხბურთელები და განაცხადა, ბუნებრივია პატრიოტული გრძნობების ქონა იმ ქვეყნისთვის, რომელიც აირჩიე და ამავე დროს არდავიწყება სამშობლოსი, საიდანაც ხარო.

უცნაური დისკუსია დაიწყო სოციალურ ქსელებში მათზე, ვინც დაიბადა ევროპაში — საფრანგეთში, გერმანიასა და ნიდერლანდში და თამაში გადაწყვიტა თავისი წინაპრების ქვეყნების გუნდებისთვის. მაროკოს ნაკრებში 23 ფეხბურთელიდან 17, ტუნისის ნაკრებში კი 11 ევროპაშია დაბადებული. უტრეხტის უნივერსიტეტის სპორტის და საზოგადოების კვლევის სპეციალისტი, პროფესორი ფრანკ ვან ეეკერნი ამბობს, ნიდერლანდელები საკუთარ თავს ეკითხებიან, რა საზოგადოებაში ვცხოვრობთ, რა გავაკეთეთ არასწორად, რომ ეს ხალხი თავს შინ არ გრძნობს, რა მოხდა ბოლო წლებში ასეთიო.

სლავა მალამუდი ამტკიცებს, რომ ეთნიკურმა მრავალფეროვნებამ ხეირი მოუტანა მდიდარ ქვეყნებს — საფრანგეთს, გერმანიას, ბელგიას, ნიდერლანდს. რაც შეეხება შვეიცარიას, არ შემიძლია არ ვიფიქრო იმაზე, თუ რა არაჩვეულებრივი გუნდი ეყოლებოდა ალბანეთს, ეს შესანიშნავი ფეხბურთელები სხვაგან რომ არ თამაშობდნენო.

მალამუდი არგენტინისა და ბრაზილიის მაგალითს იხსენებს და ამბობს, ალბათ, ასეთ წარმატებებს ეს გუნდები ვერ მიაღწევდნენ, მრავალფეროვანი საზოგადოება რომ არ ჰყავდეთო. ერთადერთი მიზეზი, რატომაც აშშ-ის ფეხბურთის მომავლის იმედი შეიძლება გქონდეს კაცს, ისაა, რომ ეს ქვეყანა მრავალფეროვნულია ეთნიკურად და კულტურულად, ამბობს მალამუდი, თვითონ აშშ-ის ნატურალიზებული მოქალაქე.

WWW.RADIOTAVISUPLEBA.GE

სანთელი

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ თანაუგრძნობს ასოციაციის თანათავმჯდომარეს, ქალბატონ ნელი გურგენიძეს დისშვილის

თამარ თევზაძე-მჭედლიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, თემურ კუჭუხიძე სამძიმარს უცხადებენ როინ მეტრეველს ცოლისდის

მზია ნიკოლაიშვილის

გარდაცვალების გამო.

მტკვარში 28 წლის მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს

მარნეულში, ე.წ. წითელი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მაშველებმა მტკვარში მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს. მათი ინფორმაციით, გარდაცვლილი 28 წლის მამაკაცი რომელიც მტკვარში ბანაობისას 25 ივნისს გაუჩინარდა. სამძებრო-სამაშველო ღონისძიებები 7 დღის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა.

განცხადება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი — ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი აცხადებს ღია კონკურსს სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებში სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ პოზიციებზე:

1.1 ბიოქიმიის განყოფილება – უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული "ბ" კატეგორია), მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული "ბ"კატეგორია);

1.2 ნეიროტოქსიკოლოგიის განყოფილება – მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (2 ერთეული "ა" კატეგორია), მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული "ა"კატეგორია);

1.3 რადიობიოლოგიის განყოფილება – მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული "ა"კატეგორია);

1.4 ბიოფიზიკის განყოფილება – მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული "ა" კატეგორია);

1.5 ქცევისა და კოგნიტიურ ფუნქციათა ლაბორატორია – მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული "ბ"კატეგორია);

1.6 ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის ლაბორატორია – მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული "ა"კატეგორია);

1.7 რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა ლაბორატორია – მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული "ბ"კატეგორია).

2. მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

3. უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

4. მთავარი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

1. განცხადება, განყოფილების/ლაბორატორიის, დასაკავებელი პოზიციისა და კატეგორიის მითითებით;
2. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. კალენდარული ავტობიოგრაფია – CV, მასში მოყვანილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებით;
4. დიპლომების ასლები;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი:
   ა) სტატიების სრული სია;
   ბ) თეზისების სრული სია;
6. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიების ასლები, საუკეთესო ნაშრომის ასლი, რომელიც უკეთესად წარმოაჩენს კონკრეტულ სტრუქტურულ ერთეულში მიმდინარე სამეცნიერო კვლევებში განმცხადებლის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს;

კონკურსი ჩატარდება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით;

არასრული და არასწორი ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში კანდიდატურა არ განიხილება;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ვადაა 2018 წლის 06 აგვისტოდან 2018 წლის 13 აგვისტოს ჩათვლით;

კონკურსი ჩატარდება 2018 წლის 16 აგვისტოს;

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: 0160, თბილისი, გოთუას ქ. №14, II სართული, კანცელარია.

საკონტაქტო პირი — მარიამ ირემაშვილი, ელმირა მეგედი, ნინო ემუხვარი;

e-mail — secretary@lifescience.org.ge;

ტელ: 237 03 00 [(227), (229),(225)].

მიხეილ სააკაშვილის ვაჟი დაქორწინდა

მიხეილ სააკაშვილის ვაჟი ედუარდ სააკაშვილი დაქორწინდა. ამის შესახებ განცხადება მიხეილ სააკაშვილმა „კვირის აქცენტებში“ გააკეთა.

მიხეილ სააკაშვილმა იმ მიზეზზე ისაუბრა, რის გამოც ის აშშ-ში იმყოფება. სააკაშვილს გადაცემის წამყვანმა ნიკა გვარამიამ ჰკითხა, რა იყო მისი ხალისიანი განწყობის მიზეზი.

„ხალისიანად გამოვიყურები იმის გამო, რომ ახლა ვიმყოფები აშშ-ში, სადაც გუშინ დავესწარი ჩემი შვილის ედუარდის ქორწილს.

გუშინდელივით მახსოვს, მე თვითონ როგორ დავქორწინდი ნიუ-იორკში, როგორ ვცხოვრობდი სტუნდენტური ცხოვრებით. გუშინ ყველანი ერთად ჩამოვედით.

პიროვნული განწყობა კარგია, ვერანაირი პროკურატურა ამ განწყობას ვერ გამიფუჭებდა. ძალიან კარგი გოგოა, ძალიან კარგია, რომ ებრაელია. ძალიან კარგი ოჯახია.

შეიძლებოდა ყოფილიყო ქართველიც, უკრაინელიც და ავსტრალიელიც, ამას მნიშვნელობა არა აქვს, ძალიან კარგი ოჯახია, ძალიან მეგობრული ხალხია...“, — ამბობს მიხეილ სააკაშვილი.

43 გრადუსი – გუშინ ტემპერატურის რეკორდული მაჩვენებელი აღირიცხა



მართლაც გაუსაძლისი სიცხეებია საქართველოში. გუშინ ტემპერატურის რეკორდული მაჩვენებელი — 43 გრადუსი კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში იყო.

სპეციალისტების ინფორმაციით, მსგავსი სიცხეები ქვეყანაში ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში არ ყოფილა.

საქართველოში უკვე რამდენიმე დღეა, გაუსაძლისი სიცხეებია — სინოპტიკოსები ვარაუდობენ, რომ ანალოგიური მდგომარეობა ქვეყნაში ოთხშაბათის ჩათვლით შენარჩუნდება.

ამის შემდეგ ტემპერატურა რამდენიმე გრადუსით დაიწევს, თუმცა სიცხეები მაინც გაგრძელდება.

დაზუსტება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველს მინდა, განვუმარტო, რომ 27 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში „გვეშველება რამე“?! გაიპარა უზუსტობა. კერძოდ, ლ. ბერიას ქუჩა მდებარეობს ქალაქ ზუგდიდში და არა თბილისში. ახლახან გავარკვიე, რომ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გასული რეპორტაჟი, სადაც ბერიას ქუჩის მცხოვრებლებს ეკითხებოდნენ — მოსწონდა თუ არა ის ფაქტი, რომ ბერიას ქუჩაზე ცხოვრობდა, გადაღებული ყოფილა ზუგდიდში. სწორედ ამ გადაცემის სარეკლამო ჭრილმა გამოიწვია ჩემში ძლიერი ემოცია და დამაწერინა ხსენებული პუბლიკაცია. თუმცა, აღნიშნული შეცდომა, რის გამოც გიხდით ბოდიშს, დიდად არ ცვლის იმ გარემოებებს, რომლებიც ჩვენს რეალობაშია გამეფებული.

პატივისცემით
ია საკანდელიძე



DUBAI AVIATION ENGINEERING PROJECTS-მა **წარმოადგინა ახალი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს საავიაციო ინდუსტრიის განვითარებას ინიციატივით — Dubai 10X.**

ერთ-ერთი ასეთი პროექტია Multi-Mode Super Port-ი. ეს არის პირველი სუპერ პორტი მსოფლიოში, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის მომსახურებას, საჰაერო და კოსმოსური მოგზაურობისთვის.

„ახალი ტექნოლოგიების გაჩენა მოგზაურობისთვის, ისეთის, როგორიცაა ზებგერითი თვითმფრინავი და კოსმოსური მოგზაურობა, გამოიწვია კითხვები აეროპორტების შესაძლო არსებობის შესახებ, რომლებიც შეძლებენ ამ კომპლექტის შეთავაზებას. მიგვაჩნია რომ ახლა სწორედ შესაბამისი პერიოდია ახალი კომპლექსური გეგმის შესამუშავებლად, რათა მოეწყოს ინტეგრირებული აეროპორტი, რომელიც შესთავაზებს მგზავრებს, როგორც საჰაერი ისე კოსმოსურ მომსახურებას“, — აღნიშნა Dubai Aviation Engineering Projects-ის წარმომადგენელმა ჰალიფა სუჰაილ ალ ზაფინმა.

სუპერ პორტის პროექტი დამტკიცებულია დუბაის გვირგვინიანი მემკვიდრის შეიხ ჰამდან ბინ მოჰამედ ბინ რაშიდ ალ მაქტუმის და Dubai Future Foundation-ს სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მიერ. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა 160 იდეა.

ალ ზაფინმა ასევე დასძინა, რომ **„ინიციატივა Dubai 10X დაგვეხმარა, ჩვენ მიგველწია წარმატებებისთვის. დუბაი ყოველთვის იყო ცვლილებების ინიციატორი და აქვს დიდი გამოცდილება ინოვაციურ პროექტებთან დაკავშირებით. ჩვენი პროექტი Dubai 10X-ის ფარგლებში წარმოადგენენ რეალურ შესაძლებლობებს, რათა მივაღწიოთ ახალ ინოვაციურ სტანდარტებს ავიაციის ინდუსტრიაში“.**

დედოფლის გარდაცვალების საიდუმლო რეპეტიცია

დიდი ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტმა დედოფალის ელისაბედ მეორეს გარდაცვალების შემთხვევაში აუცილებელი ღონისძიებების საიდუმლო რეპეტიცია გაიარეს. The Sunday Times-ის ცნობით რეპეტიცია გასულ ხუთშაბათს ჩატარდა, მას ესწრებოდნენ ვიცე-პრემიერი დევიდ ლიდინგტონი, შინაგან საქმეთა მინისტრი საჯიდ ჯავიდი, თემთა პალატის თავმჯდომარე ანდრეა ლიდსომი, შოტლანდიის საქმეთა მინისტრი დევიდ მანდელი. პოლიტიკოსებმა 10-დღიანი ეროვნული გლოვის დღეებში მათი მოქმედებების რეპეტიცია გაიარეს. დედოფლის გარდაცვალების შემდგომ მოქმედებების გეგმა დიდი ხნის წინ არის შემუშავებული, ის მოიცავს განრიგს. მაგალითად, როდის უნდა მიმართოს პრემიერ-მინისტრმა ხალხს, რას აკეთებს მინისტრთა კაბინეტი პირველ დღეს, რომელსაც „3+1“-ად მოიხსენიებენ, მინისტრებმა ასევე განიხილეს ბუკინგემის სასახლეში საიდუმლო საბჭოს 600 წევრის მისვლის გეგმა, მათ ბრიტანეთის მონარქის მემკვიდრის ტახტზე ასვლას ფორმალურად უნდა დაუჭირონ მხარი. გაზეთი აღნიშნავს, რომ სასწავლო სხდომა არ უკავშირდება 92 წლის დედოფლის ჯანმრთელობის მდგომარეობას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ უეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◎ წკეპლიკები

არასამთავრობოებს

სამთავრობო **საკითხების განხილვის აქტიურო მონაწილენო, ნაციონალური ლექსიკით ყველა გადაწყვეტილების კრიტიკოსებო. სააკაშვილის დროს ღრმა იატაკქვეშეთში იყავით, თქვენგან ჩამიჩუმი არ ისმოდა, ახლა კი ყელყელაობთ, ნაციონალების ზონდერებო.**

კაპიტანო გიგაურო, მეტად ბევრ უფლებას აძლევთ თქვენ თავს: გადადგეს წულუკიანიო, იქნებ თქვენ დააკომპლექტოთ მთავრობა?

ნაციონალებო!

შური, სიხარბე, გაიძვერობა, მუხანათობა, უზნეობა, უსამართლობა, კაცთსიძულვილი, ძალადობა, დაუნდობლობა, უტიფრობა, გაუმაძღრობა, დიდი ტყუილი, თვალთმაქცობა და უმადურობა, ეს ხომ თქვენი არსებობის კანონი არის, გეშინოდეთ განკითხვის ჟამის.

საქველმოქმედო კონცერტი

ნაციონალ **ქალთა ინიციატივითა და მონაწილეობით იმართება საქველმოქმედო კონცერტი სააკაშვილის დასახმარებლად.**

პირველ ნომრად წარმოდგენილ იქნება მომღერალთა გუნდი ბოკუჩავას ხელმძღვანელობით, სიმღერის პრემიერით „გინების ძალა“, მეორე ნომრად იხილავთ ცეკვა „სამაიას“ სამადაშვილის, ნადირაშვილის, გოგორიშვილის მონაწილეობით, მესამე ნომრად ცეკვა „ჯეირანს“ წარმოგვიდგენს ელისო კილაძე.

კონცერტს დაასრულებს ტყავის პალტოში გამოწყობილი და მაუზერშემართული ელენე ხოშტარია.

კონცერტის სპონსორია პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

ლონდა მდივანი

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4516; ევრო - 2.8537;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2209;
100 რუბლი - 3.9019; თურქული ლირა - 0.5348;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4455;
1000 სომხური დრამი - 5.0916.

ამინდი 3 ივლისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +21, დღე +40
მთიანი რაიონები - ღამე +16, დღე +36
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +21, დღე +36
მთიანი რაიონები - ღამე +17, დღე +35
თბილისი: ღამე +25, დღე +40

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge